K 230.925 / 3

მბროსი კირტავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინი წყალტუბოში

ამბროსი კირტავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალინი წყალტუბოში

გამომცემლობა „საქართველო“
ქუთაისის ფილიალი

1998

5.838 (479.22) + 329.1506 (479.22) + 614.213 (479.22)
ყალიჩანო (ეყოთხეს)
სალეონი. ი.ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ამბროსი კირტავა (1903-1983) რამდენიმე ათეული წელი ხელმძღვანელობდა კურორტ წყალტუბოს ბალნეოლოგიურ სამსახურს.

1951 წელს იგი დაინიშნა ახლადაშენებული №6 სააბაზანოს მთავარ ექიმად, რომელშიც იმავე წლის სექტემბერში იმკურნალა იოსებ სტალინმა.

ექიმ ამბროსი კირტავას ურთიერთობა ჰქონდა წყალტუბოში სამკურნალოდ ჩამოსულ მთავრობის წევრებთან (ლ. კაგანოვიჩი, ა. მიქოიანი, ნ. ბულგანინი, მ. პერვუხინი, ვ. მჟავანაძე) და მრავალ გამოჩენილ ადამიანთან (კ. გამსახურდია, ს. მიხალკოვი, ი. კოზლოვსკი). რომლებიც მასთან საუბარში შეეხნენ სტალინის პიროვნებას.

ა. კირტავას ხელნაწერის სახით დარჩა მოგონებები; მათში მოთხრობილია: სტალინის და გამალ აბდელ ნასერის წყალტუბოში მკურნალობის ამბები, მთავრობის წევრებთან და სხვა გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრების ეპიზოდები. აგრეთვე მოთავსებულია ნათარგმნი ნაწყვეტი უკრაინელი მწერალი ქალის ეკატერინა სურგუტსკაიას წიგნიდან „გაუყინავი მდინარეები", სადაც ა. კირტავა ლიტერატურული გმირის როლშია გამოყვანილი.

რედაქტორი ზურაბ კუსიანიძე

K 230925
3

სპეგ-2000
შემოწმებულია

კ 4906000000-035 99
№ 601(08)

გამომცემლობა „საქართველო"
ქუთაისის ფილიალი, გრიშაშვილის 6

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე თვითონ

ეს დასათაურება ვლადიმერ მაიაკოვსკის დავესესხე, რადგან ასეთი გამოთქმა ჩემი აზრით ძალზე ზუსტად გამოხატავს საკუთარ თავზე თხრობას.

დავბადებულვარ 1903 წლის 28 აგვისტოს — მარიობა დღეს, მარტვილში, სოფელ ნახუნაოში. სახელი „ამბროსი" დაურქმევიათ მღვდელმთავრ ამბროსი ხელაიასადმი პატივისცემის გამო.

მამა იაკობ დიმიტრის ძე კირტავა მუშაობდა ჭიათურაში მარგანეცის მომპოვებელ საწარმოში ათისთავად. დედა ეფროსინე პავლეს ასული ჭოჭუა დიასახლისი იყო.

საშუალო განათლება მივიღე მარტვილში.

1924 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ ფაკულტეტზე, ფარმაცევტული განხრით. მომდევნო წელს მეორე კურსის სტუდენტმა მუშაობა დავიწყე მიხაილოვის სახელობის რესპუბლიკურ საავადმყოფოს აფთიაქში ასისტენტ-ფარმაცევტად.

1927 წელს ჩავერიცხე უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მე-2 კურსზე.

1928 წელს დავქორწინდი თამარ ეფრემის ასულ გოგოძეზე. თამარი იმ დროს მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში მდივნად. ვცხოვრობდით ვერცხლის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში.

1930 წელს შეგვეძინა ვაჟიშვილი, დავარქვით ზურაბი.

1931 წელს დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი და განაწილებით მუშაობა დავიწყე წალენჯიხის რაიონის სოფელ კორცხელის საექიმო პუნქტის გამგედ.

1933 წელს გავიარე სამხედრო სავალდებულო სამსახური. ვმუშაობდი თბილისის პირველი ქართული მსროლელი ლეგიონის ლაზარეთში — ექიმ ორდინატორად. ამავე წლის დეკემბრიდან, დემობილიზაციის შემდეგ, მუშაობა დავიწყე ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის საექიმო უბნის გამგედ, სადაც ვმსახურობდი სამამულო ომის დაწყებამდე.

1937 წელს ვიყიდეთ სახლი ქუთაისში, ხოლო 1939 წელს შეგვეძინა ტყუპი ბიჭები ზაალი და ზაური.

1941 წლის 23 ივლისს გამიწვიეს სამხედრო სამსახურში, ჩამრიცხეს სახაზო ბატალიონის მოტომექანიზებული ნაწილის უფროს ექიმად. 24 აგვისტოს გადავედით ირანში. ჩვენი ნაწილი განლაგებული იყო თავრიზში და ყაზვინში. ოქტომბერში ჩაგვსვეს ეშელონში და გამოვემგზავრეთ სამშობლოში. ირანში ფაქტიურად ბრძოლები არ იყო. „ახლა კი საით მივდივართ?" — ვიკვეხი ვაგონში და ამაზე ვფიქრობდი. ქუთაისში უკვე გაგზავნილი მქონდა წერილი — მეუღლეს ვწერდი: „რა კარგი იქნებოდა, თბილისში რომ ცხოვრობდეთ. მოვდივართ, ალბათ თბილისში გავივლით და გნახავდით."

ვაგონში შემოვიდა ნაწილის უფროსი, იღიმება, ხუმრობის ხასიათზეა, მეუბნება: „რა იქნება „მაყარიჩი", რომ გაგახარო?" რამ უნდა გაახაროს ეშელონში მჯდომი კაცი, რომელმაც არ იცის, რომელ ფრონტზე წაიყვანენ. ეს რუსი კი არ მეშვება, ბოლოს მითხრა, რას კისრულობ ქუთაისში თუ ჩავიდა ჩვენი ნაწილიო. კიდევ ხუმრობა მგონია. „პატიოსან სიტყვას გაძლევ, ქუთაისში მივდივართო". წამოვხტი ფეხზე, გადავეხვიე, ქუთაისში რამდენ ხანსაც ვიქნებით ჩემი სახლის ერთი ოთახი შენს განკარგულებაში იქნება-მეთქი.

მართლაც, ჩვენი ეშელონი რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისის რკინიგზის ბაქანზე გაჩერდა. ტელეფონი მოვძებნე, სახლში დავრეკე, თამარს ვეუბნები: „სადგურში ვართ, გამოდი!" „თბილისის სადგურში?" — მეკითხება მეუღლე, ჩანს ჩემი წერილი მიუღია. „ქუთაისის სადგურში!" — ჩავძახე ყურმილში.

სამხედრო ნაწილი გაბაშვილის გორაზე დაბანაკდა. დაპირება შევასრულე, ნაწილის უფროსმა თავისი მეუღლე ქუთაისში ჩამოიყვანა და ჩვენთან ცხოვრობდნენ. ჩვენი ბინა გადაიქცა სამხედრო ნაწილის ხემძღვანელთა თავშეყრის ადგილად. დალევის მიზეზს ყოველდღე შოულობდნენ, ჩემი უმცროსი შვილები კი ორ წელზე ცოტა მეტი ხნის იყვნენ. ცოტა დააკლდა ჩემს მეუღლეს, რომ ეთქვა, ნეტა ქუთაისში არ ჩამოსულიყავითო.

1941 წლის 7 დეკემბერს ჩვენი ნაწილი ყირიმის ფრონტზე გაემგზავრა. 1942 წლის 3 იანვარს მივიღეთ ბრძანება, გადავსულიყავით გაყინული აზოვის სრუტეზე, ქერჩში, ჩუშკას რაიონში. ყინული სქელი არ იყო, ამბობდნენ 7 სანტიმეტრის სისქისაო. ოთხი კილომეტრი გვქონდა გასავლელი. როდესაც ნაპირთან მივედით, სხვა ნაწილებს უკვე გაევლოთ. აქა-იქ ყინული ჩამტრეული ჩანდა და წყალი ყინულის ზემოთ ამოღვრილიყო. გვითხრეს, დიდძალი სამხედრო ტექნიკა, ოთხთვალები ცხენებით და ჯარისკაცებიც ზღვაში ცვივაო. ისიც

გავიგეთ, როცა ყინულს ამოტეხილი ნაპრალები უჩნდება, კიდევ უფრო სუსტდება, რადგან მასზე დაწოლის დროს წყალი ამომტვრეული ადგილებიდან ზემოთ ამოიღვრება. ერთი სიტყვით, მშვიდობით, სიცოცხლევ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივედით თუ არა ნაპირთან და გადავხედე სამხედრო ტექნიკით და ხალხით მოფენილ სივრცეს, ჩემი ჩემოდანი მიწაზე დავდგი. რა მქონდა შიგ? საცვლები და პირადი მოხმარების ნივთები. მე 100 კილოგრამამდე ვიწონიდი. ვიფიქრე: წონის მომატება მინდა ახლა! თუ გადავრჩი და გადავედი მეორე ნაპირზე, ამათ კიდევ ვიშოვნი. ვინ იცის, შეიძლება სწორედ ამათ სიმძიმემ ყინულქვეშ ჩამიტანოს, იქ კი რაში დამჭირდება ეს ნივთები. პატარა ტანის მამაკაცი ფერშალი მყავდა ერთი, არ მომეშვა, მე წამოვიღებ, თქვენი წონა მაგ ბარგიანადაც არ ვიქნებიო. უარი ვუთხარი. არ დაიშალა, დასტაცა ხელი ჩემოდანს და გაქუსლა ყინულზე, მეც შედარებით ფრთხილად გავყევი. გზად ერთმანეთს არავინ ელაპარაკებოდა, ყველანი გამეცადინებული იყვნენ არ გამორჩენოდათ მოახლოებული ხიფათი, არ გამოპარვოდათ ყინულის ჩამტვრევის დაწყების წინ ხრჭიალის ხმა. ხალხი ზიგზაგით მიდიოდა, გვერდს უვლიდნენ წყლიან და ჩამტვრეულ ადგილებს. ცოტა, რომ გავიარეთ, ჩემს ფერშალს წამოვეწიე და ჩემოდანი ჩამოვართვი. როგორც იქნა, ნაპირს მივაღწიეთ, გადასვლა კი გრძელდებოდა და გრძელდებოდა. ყინული თანდათან დათხელდა, ზედაპირი აიჩიჩქნა, ხალხი ზღვაში ცვივოდა. როგორც გვითხრეს, გაიგზავნა ინფორმაცია მოსკოვში უმაღლეს მთავარსარდალ სტალინთან: „ცოცხალი ძალის დანაკარგი შეადგენს 30%-ს, როგორ მოვიქცეთ?“ „განაგრძეთ გადასვლა!“— იყო პასუხი. მალე კვლავ აცნობეს, დანაკარგი 40%-ია. ისევ გვიპასუხეს: „განაგრძეთ გადასვლა!“ შემდეგ, როცა აცნობეს დანაკარგი 50%-აო, „შეწყვიტეთ გადასვლაო!“ — მოვიდა ბრძანება. ასე ცვივოდა ადამიანები და მათ შორის ყველაზე მეტი კავკასიელები იძირებოდნენ აზოვისა და შავი ზღვის შემაერთებელი სრუტის ფსკერზე.

ჩვენი ნაწილი სატელეფონო კავშირს ამყარებდა ფრონტის წინა ხაზიდან ზურგთან, რის გამოც სხვადასხვა უბნებზე გვიხდებოდა გადაადგილება: ქერჩი, სემისოტკა, სემიკოლოდეცი, ალიბაი და სხვა.

1942 წელს ავადმყოფობის გამო ევაკუირებული ვიქენი ქერჩიდან კისლოვოდსკში, ხოლო მალე მტრის ჯარების მოახლოებასთან დაკავშირებით აქედან თბილისში გადაგვიყვანეს. სავადმყოფოდან დაუძლურებული გამომწერეს და ერთი თვის შვებულება მომცეს. წავედი სოფელ ნახუნაოში, სადაც იმ ხანად ჩემი ცოლ-შვილი აფარებდა თავს. აქ ცხოვრობდნენ ჩემი უფროსი ძმა აქვსენტი,

და ცაცა, დედა და ბებია. უმცროსი ძმა პავლე კი კავკასიონის მისადგომებთან იბრძოდა.

შემოდგომა იყო და მალე მოვჯობინდი. შვებულების დამთავრების შემდეგ გამოვცხადდი ქუთაისის სამხედრო კომისარიატში. განმაწესეს იმ დროს ქუთაისში მყოფ №2130 სამხედრო ჰოსპიტლის ევაკოგანყოფილების უფროს ექიმად.

1943 წლის თებერვალში ჰოსპიტალი გადავიდა გროზნოში. აქ დამნიშნეს ჰოსპიტალის თერაპიული განყოფილების გამგედ. შემდეგ გადაგვიყვანეს სოჭში, კრასნოდარში, ვილნიუსში, კაუნასში და 1944 წლის მარტში ინსტენბურგში. აქ ვიზეიმეთ ფაშიზმზე გამარჯვება.

1945 წელს გერმანიასთან ომის დამთავრებისთანავე ჩვენი ჰოსპიტალი გაიგზავნა ვლადივოსტოკში იაპონიასთან საომარი მოქმედების დაწყებასთან დაკავშირებით. დავბანაკდით ჩორნაია რეჩკაში. ომის დამთავრების შემდეგ კი შევუერთდით №575 ჰოსპიტალს და დავბინავდით „ვტარაია რეჩკაში."

1947 წლის ბოლოს ჯანმრთელობის გაუარესების გამო დემობილიზებული ვიქენი სამხედრო სამსახურიდან. ამ დროისათვის მქონდა მაიორის წოდება, დაჯილდოებული ვიყავი წითელი ვარსკლავის ორდენით, მედლებით, მიღებული მქონდა უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა.

დავუბრუნდი ჩემს მშობლიურ ქუთაისს, ჩემს ოჯახს. იმასთან დაკავშირებით, რომ ჯანმრთელობა შელახული მქონდა, ვფიქრობდი მუშაობა დამეწყო რომელიმე კურორტზე, რათა ცოტა ჩემი თავისთვისაც მიმეხედა. ჩემი ქვისლის — ქუთაისში ცნობილი პროვიზორის ვასილ კიკნაძის რჩევით სამსახური შემომთავაზა მისმა ძმამ ვალოდია კიკნაძემ, რომელიც იმჟამად საკავშირო პროფსაბჭოს წყალტუბოს სანატორიუმის უფროსი იყო. 1948 წლის იანვრიდან მუშაობა დავიწყე ამ სანატორიუმის მეოთხე კორპუსის უფროსად, ხოლო მალე დამნიშნეს სანატორიუმის სამედიცინო განყოფილების გამგედ. ამავე წლის სექტემბრიდან სამუშაოდ გადავედი კურორტის სისტემაში. ჯერ მე-4 და მე-5 სააბაზანოების უფროსად, შემდეგ კი სააბაზანოების გაერთიანების მთავარ ექიმად.

1951 წელს იოსებ სტალინის წყალტუბოში მკურნალობასთან დაკავშირებით, აშენდა №6 სააბაზანო, რომლის ხემძღვანელობაც მე დამევალა.

1959 წელს მოხდა №6 სააბაზანოს შეერთება დანარჩენ სააბაზანოებთან, უწოდეს მას ბალნეოგაერთიანება და დამნიშნეს გაერთიანების მთავარ ექიმად.

1962 წელს ამ სამსახურს შეუერთდა პოლიკლინიკა და ორი პანსიონატი, შეიქმნა პოლიკლინიკური გაერთიანება, რომელსაც ვხელმძღვანელობდი 1972

წლამდე. ამის შემდეგ ასაკის გამო გადავედი დაბალ თანამდებობებზე. ჯერ პოლიკლინიკის მთავარ ექიმად, ხოლო 1974 წლიდან სანატორიუმ „გელათის“ ექიმ ორდინატორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1957 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე, „ძაობლიტერებელი ენდარტერიიტით დაავადებულთა წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობის საკითხისათვის.“

ასეთივე სათაურით გამოიცა ჩემი წიგნი. ამავე თემაზე დაიბეჭდა სტატიები ჟურნალებში: „სოვეტსკაია მედიცინა“ (№7 1953წ.), „საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის შრომები“ (1956წ.) „კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის და სამკურნალო ფიზკულტურის საკითხები“ (№1 1962წ.) და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

1958 წელს ბორჯომში და 1961 წელს კრასნოდარში მოხსენებით გამოვედი საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებზე.

1967 წელს მომანიჭეს დამსახურებული ექიმის წოდება.

ვკითხულობდი პოპულარულ ლექციებს წყალტუბოს მინერალური წყლების ისტორიისა და სამკურნალო თვისებების შესახებ, სანატორიუმებსა და პოლიკლინიკის დამსვენებლებთან. ვიყავი თერაპევტ-კონსულტანტი კურორტის სისტემაში.

1970-1973 წლებში აკადემიკოს ე. ჩაზოვის მოთხოვნით მიწვევდნენ მოსკოვის მე-4 სამმართველოს პოლიკლინიკაში ავადმყოფთა საკონსულტაციოდ.

სტალინი წყალტუბოში

მას შემდეგ რაც, სტალინი წყალტუბოში ისვენებდა, დიდი დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მასზე ბევრი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი გამოითქვა და დაიწერა. სტალინის პიროვნების შესწავლისათვის ყოველ წვრილმანს ექნება მნიშვნელობა. წყალტუბოში მისი სტუმრობის შესახებ კი თითქმის არაფერია თქმული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე იაკოვლევის წიგნში „ცხოვრების მიზანი" აღნიშნულ ფაქტს, რომ სტალინისათვის წყალტუბოში გაზეთები და ფოსტა უნდა ჩამოეტანათ, მის მიერ შექმნილ იაკ-12 თვითმფრინავით, რომელსაც 50 მეტრის სიგრძის ბილიკზე შეეძლო დაჯდომა.

ვფიქრობ, რომ სტალინის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი მომავალშიც მიიპყრობს საზოგადოების ყურადღებას, გარდა ამისა ის ხომ ისეთი ქართველი იყო, რომელიც მაინცადამაინც არ ანებივრებდა მშობელ ხალხს თავისი სტუმრობით და ალბათ არ უნდა დარჩეს ასახვის გარეშე მისი წყალტუბოში მკურნალობის ფაქტიც.

ყოველივე ამან მაფიქრებინა მოკლედ, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა, ამესახა სტალინის წყალტუბოში სტუმრობა.

სტალინს წყალტუბოში პირველად 1931 წლის სექტემბერში უმკურნალეს, მაშინ მას უცხოვრია იმ შენობაში, რომელშიც ამჟამად ბავშვთა სანატორიუმია.

ცნობილია, რომ ბავშვობის პერიოდში პატარა სოსოს ეტლი დაეჯახა და მარცხენა მკლავი დაუზიანდა. ეს ტრამვა შემდგომში ხშირად იწვევდა კიდურის სახსრის ყრუ ტკივილს.

არსებობს მოსაზრება, რომ წყალტუბოს მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები პირველად მეგრელმა მწყემსებმა შეამჩნიეს და სახელი წყალტუბოც მათ დაარქვეს. მეგრულად „წყარი ტიბუ" „წყალთბილს" ნიშნავს. მეგრელებისათვის წყალტუბო ოდითგანვე პოპულარულ სამკურნალო ადგილს წარმოადგენდა და მას დღესაც „წყარტიბუს" ეძახიან.

წყალტუბოს წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა ლავრენტი ბერიამ. შესაძლებელია ყოველივე ეს გაგონილი ჰქონდა სტალინსაც და როდესაც მედიკამენტური საშუალებებით მკლავის მკურნალობის საქმეში დადებით შედეგს ვერ მიაღწიეს, ბერიამ სტალინს წყალტუბოში მკურნალობა ურჩია, რაც მას ალბათ ბელადზე ზრუნვაშიც კი ჩაეთვალა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1931 წელს, სტალინის წყალტუბოში

მკურნალობიდან ერთი თვის შემდეგ, ბერია 31 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დაინიშნა.

წყალტუბოში სამკურნალოდ და დასასვენებლად ხშირად ჩამოდიოდა ბერიას მეუღლე ნინა გეგეჭკორი. ჩვენ ერთმანეთს ბავშვობიდანვე ვიცნობდით, რადგან მარტვილში ოთხწლიან სკოლაში ერთად ვსწავლობდით და შემდგომ, მისი წყალტუბოში მკურნალობის დროს ხშირად ეხვდებოდით. ერთხელ ნინამ საუბარში მითხრა, რომ სტალინს წყალტუბოში მკურნალობა თავიდანვე ლავრენტიმ ურჩიაო.

როგორც ჩანს, სწორედ ამან განაპირობა სტალინისათვის კურორტ წყალტუბოს განაპირას სოფელ გვიშტიბის საზღვარზე, ოცდაათიან წლებში პატარა სახლის აგება, რომელსაც შემდგომში სახელმწიფო აგარაკი უწოდეს. ამ აგარაკის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, აქვე ცხოვრობდა და აგარაკს პატრონობდა ლავრენტი ბერიასთან დაახლოებული პიროვნება ვარდენ ჩიქოვანი, რომელიც აქ კურორტ გაგრიდან გადმოუყვანიათ. მომდევნო წლებში ვარდენი კურორტ წყალტუბოს სამმართველოს უფროსი გახდა. აგარაკს სტალინის სახელს უკავშირებდნენ, თორემ სინამდვილეში იგი ლავრენტის უფრო ეკუთვნოდა. აქ ყოველთვის რამდენიმე გლეხი მუშაობდა. ჰყავდათ მსხვილფეხა საქონელი, ცხენები, ეწეოდნენ მეურნეობას და მოსკოვში გზავნიდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. ნინა გეგეჭკორიც თავისი თანმხლები პირებით წყალტუბოში ყოფნის დროს ხშირად ამ აგარაკზე ცხოვრობდა. ვარდენის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი საქმისათვის თავდადებული, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული კაცი იყო. მას კლასიკური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ კარგად ერკვეოდა საკურორტო საქმიანობაში და მედიცინაშიც ავლენდა საკმაო ცოდნას.

1949 წლის დასაწყისში, ვმუშაობდი რა კურორტის სააბაზანოების გაერთიანების მთავარ ექიმად, ვარდენმა მაცნობა, რომ შემოდგომისთვის ვეფოდებით დიდი თანამდებობის სტუმარს და ამისათვის სასწრაფოდ საჭიროა №3 სააბაზანოს მივაშენოთ ორი სააბაზანო კაბინა თავისი მისაღებით.

მშენებლობა სწრაფი ტემპით წარიმართა და მალე უკვე მზად იყო კომფორტაბელურად მოწყობილი, მარმარილოთი მოპირკეთებული სააბაზანო, რომელსაც ლუქსი ვუწოდეთ. სექტემბერში წყალტუბოს ესტუმრა ლაზარე მოსეს ძე კაგანოვიჩი, რომელმაც იმკურნალა ამ ლუქსში. კაგანოვიჩი სალმიანი და ძალზე თავისუფალი კაცი აღმოჩდა. იგი ხშირად მესაუბრებოდა კურორტის საჭირბოროტო საკითხებზე, მისი განვითარების პერსპექტივებზე. ჰქონდა

შესვედრები ვარდენ ჩიქოვანთანაც. წასვლის წინ მან კურორტის ხელმძღვანელობას აღუთქვა დახმარება, ახალი სააბაზანოსა და სასტუმროს მშენებლობის საკითხის მთავრობაში დასმის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბრის თვეში მოსკოვში ვიყავი კურორტოლოგთა საკავშირო შეკრებაზე. ჩამოვიდა ვარდენი, მომძებნა და მეუბნება: „გამომიძახეს, ჩამოტანილი მაქვს ახალი სააბაზანოს და სასტუმროს პროექტები. ამ საღამოს ჯანმრთელობის მინისტრთან უნდა შევიდე, შენც წამოდი, შეიძლება საჭირო იქნეო", ასეც მოვიქეცით; სამინისტროში გაირკვა, რომ საჭიროა პროექტების გაცნობა სტალინისათვის, მისი რეზოლუცია, მშენებლობის ვადების დადგენა და ასიგნებათა საკითხის გადაწყვეტა.

ვარდენი მოსკოვში კარგა ხანს დარჩა, ხოლო როდესაც წყალტუბოში დაბრუნდა, თან ჩამოიტანა სტალინის მიერ ხელმოწერილი პროექტები. სტალინის სტუმრობის შემდეგ, კაგანოვიჩის მორიგი მკურნალობის დროს, მისგან შევიტყვე, რომ მან არ ჩათვალა №3 სააბაზანოს მინაშენი ლუქსი სტალინის მკურნალობისათვის შესაფერის ობიექტად და ამიტომ მოსკოვში დასვა საკითხი ახალი სააბაზანოსა და სასტუმროს მშენებლობის შესახებ. ყოველივე ამან სტალინის ჩამოსვლა წყალტუბოში ორი წლით გადადო.

ხშირად მიფიქრია, თუ რამ განაპირობა სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში



№ 6 სააბაზანოს ხედი

სტალინის წყალტუბოში მკურნალობის აუცილებლობა. ჩემი აზრით, მოსუცებულობაში მას უმატა სასსრების ტკივილმა, რადგან სტალინი თამბაქოსაც ხშირად ეწეოდა, თავისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს შენობაში – კაბინეტში ატარებდა. ვარჯიში, ფიზიკური დატვირთვა ალბათ არ უხერხდებოდა ან მხოლოდ გასეირნებით კმაყოფილდებოდა; ასევე ცნობილია, რომ სტალინი მედიცინის მიმართ მაინცადამაინც სიმპათიით არ იყო განწყობილი; უფრო სახალხო მედიცინას სცემდა პატივს, აგრეთვე ასაკობრივი ცვლილებების გამო უთუოდ იქნებოდა დაავადებული ათეროსკლეროზით, რაც გამოიწვევდა სისხლის მიმოქცევის შესუსტებას და ჟანგბადით ორგანიზმის კვების დაქვეითებას. ტყუილად კი არ ფიქრობენ, რომ გარდაცვალების წინ ტვინში სისხლის ჩაქცევა შეიძლება გამოიწვია წინა საღამოს ცხელი წყლის აბაზანის მიღებამ, რასაც იგი ხშირად მიმართავდა, როდესაც შეუძლოდ იყო. შეიძლება, ბოლო ხანებში სტალინი შეიპყრო ნოსტალგიამ, რადგან ცნობილია, რომ ამავე პერიოდში გარდა წყალტუბოსა და ბორჯომისა, მან ზღვის სანაპიროზე დასვენების დროს მიიღო და რამდენიმე დღე თავისთან სტუმრად ჰყავდა კანდიდ ჩარკვიანი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სპარტაკ ბაღაშვილი და სხვები.

1950 წლის იანვარში წყალტუბოში ჩამოიყვანეს მშენებელთა უზარმაზარი არმია 4 000 კაცის შემადგენლობით. მშენებლობას უძღვებოდა შალვა მაისურაძე. ვმუშაობდი რა ამ დროს სააბაზანოების გაერთიანების მთავარ ექიმად, დამევალა ახალი №6 სააბაზანოს მშენებლებისათვის გამეწია კონსულტაცია პროექტში პრაქტიკული ცვლილებების ან საჭირო გაუმჯობესების შეტანის მიზნით. მართლაც მშენებლებმა ჩვენი მრავალი წინადადება მიიღეს და განახორციელეს.

ისინი მუშაობდნენ სამ ცვლად და დეკემბერში სააბაზანო მიიღო საველმწიფო კომისიამ, რომლის შემადგენლობაში მეც შევდიოდი. შედგა დასამთავრებელ სამუშაოთა სია, რაც მშენებლებმა პირნათლად შეასრულეს. აგრეთვე დასრულდა ხუთსართულიანი სასტუმრო „თბილისის“ მშენებლობა.

1951 წლის მაისში №6 სააბაზანო ექსპლოატაციაში შევიდა. რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით იგი დანარჩენ სააბაზანოებიდან დამოუკიდებელ ობიექტად დამტკიცდა და მის მთავარ ექიმად მე განმაწესეს პერსონალური ხელფასის დანიშვნით. ჩემს მოადგილედ ავირჩიე ახალგაზრდა ექიმი ოთარ ფრუიძე.

№6 სააბაზანო წარმოადგენს უაღრესად თანამედროვე, არქიტექტურულად სრულყოფილ, ლამაზ და მდიდრულად გაფორმებულ ნაგებობას. იგი მოიცავს სამ დიდ აუზს, 50 ინდივიდუალურ სააბაზანო კაბინას და მრავალ სამკურნალო

კაბინეტს. შენობის კედლები, მთავარი შესასვლელის ვესტიბიულის სვეტები მოპირკეთებულია ბუნებრივი და ხელოვნური მარმარილოთი, აუზებში დაგებულია მოზაიკა, კარ-ფანჯრები დამზადებულია ძვირფასი ხის ჯიშის მერქნისაგან, გამოყენებულია ფერადი მინა, გრანიტი, დადგმულია უცხო ლამპრონები, ბრიდრული ავეჯი. შენობის მთავარ სვეტებიან შესასვლელს გარედან აქვს ბარელიეფი, რომელზეც გამოსახულია სტალინთან მშრომელების შეხვედრის ეპიზოდი.

ივნისში კურორტის ხელმძღვანელობისათვის უკვე ცნობილი გახდა, რომ სტალინი მალე ჩამოვიდოდა წყალტუბოში, ეს იმითაც ვიგრძენით, რომ მთელი პერსონალი შეგვამოწმეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა. რამდენიმე თანამშრომელი გადაიყვანეს სხვა სააბაზანოში. პირადად მე თავაზიანად დამეკითხენ, რა ურთიერთობა გაქვთ ამა და ამ პიროვნებებთანო, ჭეშმარიტების დადგენის შემდეგ, მშვიდობიანად დამშორდნენ. შემდეგ გვესტუმრა ექიმთა ჯგუფი მოსკოვიდან. მათთან წარმადგინა კურორტის უფროსმა ვარდენ ჩიქოვანმა. ურთიეთ გაცნობისა და მცირედი საუბრის შემდეგ სტუმრებმა რიგრიგობით დამისვეს შეკითხვები: თუ რა დაავადებების დროს იძლევა წყალტუბო

№ 6 სააბაზანოს ვესტიბიული

უარყოფით ჩვენებებს. მისახელებდნენ ადამიანის ორგანოებს და მეკითხებოდნენ თუ როგორ მოქმედებს მათზე წყალტუბოს წყლები. მიზანშეწონილია თუ არა წყალტუბოში მკურნალობის შემდეგ ზღვის აბაზანები და სხვა. გაკვრით დამისვეს კითხვა აბაზანების ზემოქმედების შესახებ მაღალ არტერიულ წნევაზე. მე მოკლედ ვუპასუხე, რომ ფრთხილი მიდგომაა საჭირო. მაშინ ერთ-ერთმა სტუმარმა განმიმარტა: ეს, რა თქმა უნდა, სტალინს არ ეხება, მაგრამ ჩვენ მე-4 სამმართველოს ექიმები, უნდა გავერკვეთ, რომ ვიცოდეთ მომავალში ვის ვურჩიოთ წყალტუბოში მკურნალობა, ამიტომ გთხოვთ, უფრო ფართოდ გაგვიშუქოთ, რას ურჩევთ მაღალი წნევის მატარებელ ავადმყოფებს, თუ მათი მკურნალობა წყალტუბოში სხვა მხრივ აუცილებელიაო. მე ვუპასუხე, რომ ასეთ დროს ვიყენებთ ოთხკამერიან აბაზანებს, როდესაც მხოლოდ კიდურებზე ვაღებინებთ წყლის პროცედურებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აბაზანებს კაბინაში ან აუზში ვუნიშნავთ, ვაფრთხილებთ, რომ წყლის ზემოთ დაიჭირონ გულის არე. ვაკვირდებით აბაზანის მიღების წინ და შემდგომ წნევის ცვალებადობას და საჭირო შემთხვევაში ვამცირებთ პროცედურის ხანგრძლივობას. საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდა, დაათვალიერეს №6 სააბაზანო, მადლობა გადამიხადეს და წავიდნენ. ამ საუბრის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ სტალინს აწუხებდა მაღალი არტერიული წნევა. იმასაც მივხვდი, რომ სტალინის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება აკრძალული იყო; ახლაც არ მესმის, რად სჭირდებოდათ ასეთი კონსპირაცია.

აგვისტოს პირველ რიცხვებში წყალტუბოში ჩამოვიდა სტალინი. ქუთაისიდან დამირეკეს, რომ ქალაქში ჩაიქროლეს მთავრობის მანქანებმა. სულ მალე წყალტუბოში რკინიგზის სადგურზე ჩამოდგა სპეციალური მატარებელი. შეიკრიბა ხალხი, მაგრამ სტალინი არ ჩანდა. იგი იმ დროს თურმე უკვე აგარაკზე იყო. მატარებელს კი ჩამოყვა ორასამდე თანმხლები პირი, მოსამსახურე პერსონალი და დაცვა. როგორც შემდგომში გავიგეთ, სტალინი ქუთაისის მახლობლად მატარებლიდან ავტომანქანაში გადამჯდარა. თუმცა ასედაც გვითხრეს, თვითმფრინავით ჩამოფრინდა მახლობელ სამხედრო აეროდრომზეო. სხვათაშორის წყალტუბო-ქუთაისის ახალი საავტომობილო გზაც ამ პერიოდში იქნა გაყვანილი, როგორც ჩანს, ესეც სტალინის სტუმრობას უკავშირდებოდა.

იმ წელს საქართველოში ცხელი ზაფხული იდგა. როგორც აღვნიშნე, სახელმწიფო აგარაკი სტალინის წყალტუბოში პირველად ჩამოსვლის შემდეგ აიგო, ამიტომ იგი ამ აგარაკზე პირველად იყო. ძველი, პატარა სახლის გვერდით

ასალიც დაასვედრეს, მაგრამ აუტანელი სიცხის გამო სტალინმა გადაწყვიტა, სანამ სიცხეები იდგა, ბორჯომში დაესვენებია.

ჩვენ წყალტუბოში განვაგრძეთ სამზადისი. კურორტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით გადაწყვეტილი გვქონდა, სტალინს ემკურნალა მე-6 სააბაზანოს ჩრდილოეთ მხარეს მდებარე ლუქსში, რომელიც შედგება ერთი აუზის, ერთი სააბაზანო კაბინის და მისაღები ოთახისაგან; აქვს აგრეთვე იზოლირებული შესასვლელი. ჩვენ ეს მხარე ავირჩიეთ იმ მოსაზრებით, რომ იგი სამხრეთ ფრთაზე მდებარე ასეთივე ლუქსისაგან განსხვავებით უფრო სწრაფად ივსებოდა წყლით, რადგან დიდი დიამეტრის მილები, რომლითაც წყალი ბურღილებიდან მოედინებოდა, შენობაში აქეთა მხრიდან შემოდის. წყლის ტემპერატურაც, მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ აქ მეტია, ვიდრე სამხრეთ მხარეს.

როდესაც სტალინის დაცვის მუშაკებმა №6 სააბაზანო და მისი შემოგარენი დაათვალიერეს, მათ უსაფრთხოების თუ ხალხთან ნაკლები კონტაქტის მიზნით აირჩიეს სააბაზანოს სამხრეთ მდებარე ლუქსი. მათ თავიანთი მოსაზრება გაამართლეს იმით, რომ ამ მხარეს მისასვლელი გზა ჩიხს წარმოადგენს, ხოლო სააბაზანოს ჩრდილოეთ მხარეს ჩაუდის გზა, რომელიც მას აკავშირებს სხვა სააბაზანოებთან და ხალხმრავალია.

ჩვენ ავუხსენით, რომ სამხრეთ მდებარე ლუქსის წყლით შევსების დროს გვაქვს შეფერხება დამსვენებელთა პროცედურებზე გატარების საქმეში. დაცვის უფროსმა თავაზიანი ღიმილით გვითხრა, ისე უნდა გააკეთოთ, რომ დააკმაყოფილოთ ჩვენი თხოვნა და არ დაუშვათ შეფერხება დამსვენებელთა მომსახურებაში. მე ვუპასუხე, რომ ეს მოსახერხებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკურნალობას ჩავატარებთ დილით, ისე, რომ აუზის ავსება მოვახდინოთ ბალნეოპროცედურების დაწყებამდე ან საღამოს, პროცედურების დამთავრების შემდეგ. ეს წინადადება მოიწონეს და მიიღეს. გადაწყდა ან დილით ან საღამოთი, როგორც თვითონ სტალინი ისურვებდა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში სტალინი ბორჯომიდან წყალტუბოში დაბრუნდა. დაგვირეკეს და გავგაფრთხილეს, რომ ხვალ დილით 9 საათზე გვესტუმრება ბალნეოპროცედურის მისაღებადო.

დილით, როდესაც დაცვა მოვიდა, ჩვენ უკვე ყოველივე მზადყოფნაში გვქონდა. კურორტის მხრიდან სტალინის მიღება დაგვევალა მე და კურორტის მთავარ ექიმს დიმიტრი ჩახნაშვილს. ჩვენთან იყო აგრეთვე მედდა თამარ როინიშვილი, აქვე დაგვარიგეს, რომ თუ იქნება შეკითხვები მკურნალობის ან №6 სააბაზანოსთან

დაკავშირებით, პასუხს გასცემს ამბროსი კირტავა, ხოლო თუ კითხვა შეეხება საერთოდ კურორტს, მაშინ უპასუხებს დიმიტრი ჩახნაშვილიო.

ჩვენ ვიდექით ლუქსის მისაღებ ოთახში, 9 საათს ოდნავ გადაცილდა, კარი გაიღო და შემოვიდა სტალინი, ხოლო შემდეგ მისი თანმხლები პირები. ჩვენ – მედპერსონალს თეთრი ხალათები გვეცვა. სტალინი ჩვენგან გარკვეულ დისტანციაზე შეჩერდა, თავის დახრით მოგვესალმა და შეგვეკითხა: „საით წავიდე?" მე ვუპასუხე, რომ „თქვენგან მარცხნივ არის აუზი, ხოლო აქ პატარა სააბაზანო კაბინაა. ორივე მზად არის, თქვენი სურვილით შეგიძლიათ აირჩიოთ." სტალინი ოდნავ შებრუნდა და გაეშურა კაბინისაკენ, მას გაჰყვა პატარა ტანის გენერალი პოსკრებიშევი. ერთი საათის შემდეგ ჩვენ ერთობლივად გავაცილეთ სტუმარი. მის სახეზე შეიმჩნეოდა მხოლოდ სიმშვიდე. გვითხრეს, რომ ხვალაც დილით ამავე დროს მოვიდოდნენ.

მეორე დღეს ოდნავ დაგვიანებით ჩამოვიდნენ, ჩვენ ჩვეულებრივად დავხვდით. სტალინი ისევ თავის დახრით მოგვესალმა, ჩაილაპარაკა „ახლა აქ ვნახოთ," კაბინის შესასვლელს გვერდი აუარა და აუზისაკენ გაეშურა. აუზში 20 წუთი დაჰყო. ამის შემდეგ ყველა პროცედურა აუზში მიიღო.

წყალტუბოში აბაზანის მიღების დროს ავადმყოფებს ვურჩევევდით ტანი ისე დაეჭირათ, რომ წყალს მთლიანად დაეფარა სხეული, ხოლო გულის არე წყლის ზედაპირზე მაღლა ამოეწიათ. აუზს აქვს იდაყვის ჩამოსაყრდნობი საფეხური, მაგრამ ამდაგვარ პოზაში ტანის წყალში დაჭერა მთლად მოხერხებული არ არის. ეტყობა, სტალინს ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გაუჩდა, მან მოითხოვა დახრილი საზურგე. მეორე დღესვე დავახვედრეთ ხის ერთმანეთზე დაცილებული ღეროებისგან დამზადებული ზურგის მისაყრდნობი, მისივე მოთხოვნით მოსკოვიდან ჩამოიტანეს თავქვეშ დასადები წითელი ღრუბლის მოზრდილი ნაჭერი.

მეოთხე დღეს პოსკრებიშევმა დამირეკა, რომ დღეს ვერ ჩამოვალთო. შემდგომში ამიხსნეს, ბელადი მოსკოვს ელაპარაკებოდა, დააგვიანდა და რადგან დანიშნულ დროს გადაუცილდა, სააბაზანოში ჩამოსვლაზე უარი თქვაო.

ჩემი აზრით, დაგვიანება გამოწვეული იყო წყალტუბოს აბაზანების ძილის მომგვრელი ზემოქმედებით. როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ სტალინი ღამით გვიანობამდე მუშაობდა და დილით შედარებით გვიან დგებოდა. როგორც ეტყობა, წყალტუბოს აბაზანებმა იმდენად იმოქმედეს, რომ გვთხოვეს ბალნეოპროცედურების საღამოს საათებში გადატანა.

სტალინის №6 სააბაზანოში ყოფნის დროს გარეთ დაცვის მუშაკები

დამსვენებლების მსგავსად ხელზე პირსახოცგადადებული დადიოდნენ, ზოგიერთნი გაზონებში დადგმულ სკამებზე ისხდნენ. თუ ვინმე მოისურვებდა სააბაზანოს სამხრეთ შესასვლელისაკენ წამოსვლას, მასთან მივიდოდა ერთ-ერთი მუშაკი და ეტყოდა: „არ არის საჭირო, ნუ შეაწუხებთ ბელადს, ის ხომ დასასვენებლად ჩამოვიდა.“ სააბაზანოდან წრიულ გზაზე გასასვლელთან და ქ. წულუკიძისაკენ მიმავალი გზის ასახვევში — სადაც ავტომანქანა სიჩქარეს უკლებდა, როგორც გადმომცეს, ხალხი მაინც იკრიბებოდა. იყო თურმე შემთხვევები, როდესაც სტალინი ხელის აწევით ესალმებოდა ხალხს და მაშინ იქუხებდა ტაში.

სტალინმა წყალტუბოში სულ 9 აბაზანა მიიღო. ისმის კითხვა: შეეძლო თუ არა ასეთ ხანმოკლე მკურნალობას რაიმე მნიშვნელოვანი ბალნეოლოგიური ეფექტი მოეხდინა. ვფიქრობ, რომ — არა, მაგრამ მცირე გაუმჯობესება სისხლძარღვთა სისტემაში, განსაკუთრებით ძილის დარეგულირება, აგრეთვე ფსიქოლოგიური ფაქტორი და სამუშაოდან განტვირთვა, რა თქმა უნდა, დადებითად იმოქმედებდა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ წყალტუბოში ზოგიერთმა მუშაკმა თავს უფლება მისცა ეამბნა ვითომდა მასთან საუბრის ეპიზოდები და მის მკურნალობაში თავისი მონაწილეობა დაეკვეხნა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენ, ყველანი, როგორც დამსვდურნი, ისე თანმხლები პირები მოწოდებული ვიყავით დაგვეცვა სიწყნარე და მკურნალობისთვის შეგვექმნა საუკეთესო პირობები.

წყალტუბოში მკურნალობამ სტალინზე რომ კარგად იმოქმედა, ყველაზე



№ 6 სააბაზანოს ლუქსის აუზი, რომელშიც იმკურნალა იოსებ სტალინმა.

მეტად იქედან ჩანდა, რომ მისი მოსკოვში გამგზავრების შემდეგ წყალტუბოში ზედიზედ იწყეს ჩამოსვლა მთავრობის წარმომადგენლებმა თავიანთი მეუღლეებით.

ნინა გეგეჭკორი თავს მთავრობად არ თვლიდა, მაგრამ ჩვენთვის იგი ერთობ საპატიო სტუმარი იყო. ჩვეულებრივ იგი ყოველთვის მეუღლის გარეშე ისვენებდა და ტრადიციისათვის არც ახლა უღალატნია, სტალინის გასტუმრების შემდეგ ძალიან მალე გვეწვია.

მოვიკითხეთ ერთმანეთი, მკურნალობა დავუნიშნე, როდესაც ჩვენი თავისუფალი საუბრის გამო თანმხლებ ექიმ მარღანიას ქალს გაკვირვება შეატყო, ნინამ აუხსნა: „მე და ამბროსი გეგეჭკორში ბავშვობის დროს ერთად ვსწავლობდითო.“

მეორე დღეს აბაზანის მიღების წინ საუბრის დროს ნინას შევეკითხე: ბელადი როგორ ბრძანდება წყალტუბოში მკურნალობის შემდეგ? თქვენ ახლოს ხართ მასთან და გეცოდინებათ-მეთქი. „რას იზამს, ზის და იქექება ბებერიო,“ — მიპასუხა. მე ამის გამგონეს, ტანში გამაჟრჟოლა. ამის მოსმენა კი არა, გაფიქრებაც ვერ წარმომედგინა. იმ ხანად ბევრჯერ მიფიქრია, თუ რატომ მიპასუხა ნინამ ასე, შემდგომში კი ყოველივე ნათელი გახდა.

K 23092,5
3

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავროგის წევრების ვიზიტები

სტალინის წყალტუბოში მკურნალობის შემდეგ მალე გვეწვია ბარშალი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბულგანინი. იგი უჩიოდა ტკივილებს წელის არეში. მისი სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ვერ ვჩერდები ოდნავ მოხრილი, მაგალითად, პირის დაბანის დროს ტანის დაჭერა მიჭირსო.“ მკურნალობამ კარგი შედეგი მისცა და მითხრა, ერთი წლის შემდეგ კიდევ გესტუმრებითო. განმეორებით, რომ ჩამოვიდა, ეს უკვე სტალინის გარდაცვალების შემდეგ იყო, აღნიშნა, „ოდნავ მოხრილი რამდენხანსაც მინდა იმდენხანს ვჩერდებიო“. მან აქ წყალ-ტუბოში არტილერიის დღის აღსანიშნავად სადილი გამართა. მიმიწვია მეუღლითურთ; გამაფრთხილა, მეორე ნახევარს აუცილებლად წამოიყვანო. სადილზე სუფრასთან ადგილი თავის გვერდით მიმიჩინა. სუფრის წარმართვის რუსული წესი შემოგვთავაზა. პირველი სასმისი თვითონ აიღო და თან გაგვაფრთხილა: ამბროსი იაკობის ძის მხრით, მოყოლებით ყველა იტყვის თითო სადღეგრძელოსო. თვითონ ყველა იქ მყოფის სადღეგრძელო შესვა. მე მხედრიონი დავულოცე, რადგან იგი ამ დროს თავდაცვის მინისტრი იყო. შემდეგი სადღეგრძელოს თქმა ჩემს მეუღლეს — თამარს უწევდა. თამარი რუსულ ენას კარგად ფლობდა და ამ მხრივ არ მედარდებოდა, მაგრამ ვფიქრობდი, ვის ადღეგრძელებს ახლა ეს ქალი-მეთქი. შიში უსაფუძვლო შეიქნა, ომში დაღუპულთა მოსაგონარი შემოგვთავაზა. ბულგანინი ადგა, ხელზე აკოცა, თავის მეუღლეს მოუხმო, ქალები ერთმანეთს ჩაახუტა, მადლობა გადაუხადა ჩემს მეუღლეს, ცხვირსახოცი ამოიღო და თვალზე ცრემლი მოიწმინდა. თამარი გათამამდა და უთხრა: მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ, წერილიც კი მაქვს თქვენთვის მოწერილი. „რა საკითხზე?“ —შეეკითხა ბულგანინი. ჩემი მეუღლის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე, იაპონიასთან ომის დამთავრებიდან ორი წლის გავლის შემდეგო. „თუ დაგეხმარეთ?“ — იკითხა ბულგანინმა. „როგორც ხედავთ,“ — უპასუხა თამარმა და ჩემზე მიუთითა. ბულგანინს ესიამოვნა. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო. თხოვნაზე ასეთი პასუხი იყო მოსული: „თქვენს მეუღლეს გავანთავისუფლებთ შორეულ აღმოსავლეთში მუშაობის მსურველი შესაბამისი სპეციალისტის გამო-ჩენისთანავეო.“ მაგრამ ამის თქმა ხომ უხერხულობას გამოიწვევდა.

ცოტა რომ შეთვრა, ბულგანინმა სტალინის სურათისაკენ გაიშვირა ხელი. სტალინი ახალი გარდაცვლილი იყო და სურათები ჯერ კიდევ ეკიდა. ამ სურათზე იგი გამოსახული იყო პაპიროსით ხელში. „ვინ დახატა ეს, ამის

მსატვარი უნდა დახვრიტო, არ იცოდა, რომ სტალინი მხოლოდ ჩიბუხს ეწეოდა.“ ახლა უკვე სადღეგრძელოების რიგი დაარღვია და სტალინის სადღეგრძელო თვითონ შემოგვთავაზა. მას სამჯერ უნდოდა დავეხვრიტე, ლენინგრადთან, სმოლენსკთან და მინსკთან ოპერაციების წარუმატებლობის დროს, მაგრამ სამართლიანად მთხოვდა და ამიტომ მიყვარდა. იგი ჩემს მკლავზე გარდაიცვალაო.

გამოცილების დროს ბულგანინმა მოისურვა გარეთ გამოგვყოლოდა, მაგრამ დაცვამ, თუ ადიუტანტმა თხოვა, არ გამოსულიყო. „გამიშვით, ვინ შემეხება მე“, — იყვირა ხმამაღლა და გზა განაგრძო. კეთილი საქმეები გვისურვა, მადლობა გადაგვიხადა და გულთბილად დაგვემშვიდობა.

ჩვენგან გამგზავრებული ბულგანინი სოხუმში შეხვედრია სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ანასტასი ივანეს ძე მიქოიანს, რომელიც წყალტუბოში აპირებდა წამოსვლას. ბულგანინს ურჩევია, როცა ჩახვალ, გამოიძახე ექიმი კირტავა, ის დაგინიშნავს მკურნალობასო. ასეც მოიქცა ანასტას მიქოიანი: გავიცანით ერთმანეთი, ვისაუბრეთ, მეორე დღეს მთხოვა მისი ოჯახის წევრებისა და თანმხლები პირებისათვის ჩამეტარებინა საუბარი წყალტუბოს წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ. ლექციის შემდეგ მიმიწვია სადილზე. გამაცნო თავისი ვაჟი. გამომკითხა ოჯახის ამბები, შვილების საქმიანობა. მეც შევეკითხე შვილების შესახებ. მითხრა ერთი ვაჟი სამამულო ომში დამეღუპა; როდესაც სტალინმა თავისი იაკობი ფრონტზე გაუშვა, ჩვენც მეტი არაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ ასევე მოვქცეულიყავითო. მრავლობითში თქვა, ეტყობოდა მთავრობის სხვა წევრებსაც გულისხმობდა. ყოველივე ამას სინანულით და დარდით ამბობდა. მე ბოდიში მოვუხადე, რომ მისთვის მტკივნეულ საკითხს შევეხე.

სადილის შემდეგ კურორტი დაათვალიერა. ნახა სასტუმრო „თბილისი,“ სანატორიუმები: „შასტიორი“ და „იმერეთი“. მიქოიანმა გაიხსენა: 1932 წელს ვისვენებდი წყალტუბოში და №2 სააბაზანოში ვღებულობდი აბაზანებსო. №6 სააბაზანოს შესახებ გამოხატავდა აღტაცებას.

სტალინის შემდეგ წყალტუბოში ჩამოსული მაღალი თანამდებობის სტუმრები დიდ ინტერესს იჩენდნენ სტალინის მკურნალობის ამბებისადმი, მეკითხებოდნენ ყოველივე წვრილმანს: სად ღებულობდა, რამდენი აბაზანა მიიღო, რატომ არის ის ლუქსი სტალინის შემდეგ დაკეტილი. მე ვპასუხობდი, რომ გართულებული იყო ამ აუზის წყლით შევსება. მართლაც ამ მიზეზმა მე-6 სააბაზანოს სამხრეთ ფრთაზე მდებარე ლუქსს სანახაობითი მნიშვნელობა დაუმკვიდრა. ხშირად მოჰყავდათ ექსკურსანტები, ზოგს უბრალოდ გარედან ანახებდნენ, ზოგს კი შიგ შესვლის უფლებასაც ვაძლევდით.

სტალინის თემას მიქოიანიც შეეხო. ჩემი აზრით იგი ზედმეტად ცდილობდა დაემტკიცებინა ჩემთვის თუ რაოდენ ახლოს იყო სტალინთან. ხელი გამოსწია, პერანგის სამაჯურის საკინძე მანახა, მითხრა აი ეს ძვირფასი საკინძეები სტალინს აჩუქა ერთმა ამერიკელმა მომღერალმა ქალმა, მან კი მე მისახსოვრაო. ჩვენ, ალბათ, ძალიან გაგვიჭირდება უიმისოდ.

წყალტუბოს მაღალი თანამდებობის სტუმრები ჩემთან ძალიან ახლო კონტაქტს ამყარებდნენ, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ბალნეოპროცედურების დროს ზოგჯერ მათ დღეში ორჯერაც კი ვხვდებოდი; ამიტომ მეძლეოდა საშუალება მეთხოვა მათთვის კურორტისათვის ამა თუ იმ საჭირბოროტო საქმეში დახმარება. ხშირად ამის გაკეთებას კურორტის ხელმძღვანელობაც მავალებდა. ასე მოხდა მაგალითად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ პერვუხინის მკურნალობის დროს. მე მას ვთხოვე წყალტუბოს წრიული გზისათვის განათების ლამპიონები. მან დაგვპირდა და დანაპირები პირნათლად შეასრულა. წრიულ გზაზე, რომელიც ბალნეოზონას გარს უვლის დაიდგა ლამაზი ლამპიონები.

პერვუხინის №6 სააბაზანოში ყოფნა შეუმჩნეველი არ დარჩა ჩემს დურგალს გვარად ქაფიანიძეს, რომელსაც პედაგოგი შვილი, ცოლშვილიანი, ოჯახის მარჩენალი ჯარიდან არ დაბრუნებია. მთხოვა, იქნებ რაიმე დახმარება გამიწიოსო. ვთხოვე პერვუხინს, მითხრა აღწეროს ყოველივე წერილობით და ჩემს მდივანს გადაეცითო. მე შემდეგ ქაფიანიძისათვის არ მიკითხავს თუ რა შედეგი მოჰყვა წერილს.

ჩამოვიდა პერვუხინი მკურნალობის გასამეორებლად და პირველსავე შეხვედრის დროს მეკითხება: არის თუ არა თქვენი დურგალი კმაყოფილი მის თხოვნაზე რეაგირების გამოო. მე შემრცხვა და თავი ვიმართლე: ასე მალე არ ველოდი რეაგირებას და არ მიკითხავს-მეთქი. ქაფიანიძეს გამოვუძახე და შევეკითხე, პერვუხინი მეკითხება თუ დაგეხმარნენ-მეთქი: „რამ გაახსენა, ქვე შენი ჭირიმე; კი, ძალიან კმაყოფილები ვართ ორივე ცოლ-ქმარი, მივიღეთ ერთდროული დახმარება და მერე პენსიაო". ბოდიში მომიხადა: „დამავიწყდა თქვენთვის უნდა მეთქვაო."

ჩამოვიდა მეუღლითურთ კაგანოვიჩი. იგი მესამედ მკურნალობდა წყალტუბოში. ძალიან მოსწონდა №6 სააბაზანოს შენობა. ხშირად ჩემთან საუბრის დროს ხაზს უსვამდა თავის წვლილს ამ სააბაზანოს პროექტის სტალინისათვის გაცნობისა და მშენებლობის ნებართვის მიღების საქმეში. წყალტუბოს ამსგავსებდა გერმანიის კურორტს ბადენ-ბადენს. იგი დაცვისა და

ხშირად თანმხლები პირების გარეშეც დადიოდა. მხიარული კაცი იყო, მღეროდა კიდეც პროცედურების მიღების დროს. სამაგიეროდ კაგანოვიჩის მეუღლე ღებულობდა აბაზანას შიგნიდან ჩაკეტილი კარებით. გარედან დაცვის თანხლებით, რაც ძალიან გვაკვირვებდა.

ერთ დღეს ბალნეოპროცედურის მიღების შემდეგ დაგვირეკეს, რომ კაგანოვიჩის მეუღლეს სააბაზანოში დარჩა ოქროს საათი ძეწკვით და არ დაიკარგოსო. დავძებნეთ, არსად არ ჩანდა საათი. ამ გარემოებამ ძალიან შეგვაწუხა, ცოტა ხნის შემდეგ შეგვატყობინეს, საათი შინ დარჩენია და ვნახეთო, ბოდიში მოიხადეს.

წყალტუბოს ხშირი სტუმარი იყო საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე. რადგან მას სოფელ გვიშტიბში და ქ. წულუკიძეში ნათესავები ჰყავდა, თითქმის ყოველ წელს ჩამოდიოდა. ზემოთაც აღვნიშნე, როდესაც საკავშირო ან რესპუბლიკის მთავრობის წევრები წყალტუბოში მკურნალობდნენ, ყოველდღე მიწევდა მათთან შეხვედრა.

მახსოვს ვასილ პავლეს ძე 1956 წლის ზაფხულში, რომ გვესტუმრა მაშინ 9 მარტის ამბებით ვიყავით შეწუხებულები და მასთან ერთ-ერთი საუბრის დროს გამოვთქვი სინანული: რა ქნეს ეს ჩვენმა ახალგაზრდებმა-მეთქი. ჩემდა გასაკვირად ვასილ პავლეს ძემ თქვა: „ახალგაზრდობა სწორად მოიქცა, ჩვენ ვერ მოვიქეცით კარგადო." მე უაღრესად მესიამოვნა ეს შეფასება, რადგან ჩემი შვილიც იყო ამ გამოსვლების რიგითი მონაწილე.

ვასილ პავლეს ძემ გულითადი საუბარი იცოდა, ყველაფერს გამომკითხავდა, ოჯახის ამბებსაც კი. ძალზე მაწუხებდა ბალნეოზონაში ღია ღელეს სახით გამდინარე წყალი. რომელსაც ბალნეოპროცედურების გადამუშავებული წყალიც ერთვოდა. ადგილ-ადგილ სამკურნალო წყალიც ჟონავდა. ამ ადგილებში თავს იყრიდა ეგრეთწოდებული „ველური აბაზანების" მოყვარული ხალხი. იყო ანტისანიტარია, ღრიანცელი, ჩხუბი ადგილის დაკავებისათვის და ზოგჯერ სიკვდილიანობაც კი. ამის გამო საყვედურს ვღებულობდი, „მოუარე შენს ზონასო". ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ მივაღწიე დახურული კოლექტორის გაყვანას, მნიშვნელოვან თანხებთან იყო დაკავშირებული.

ერთხელ მჟავანაძის წყალტუბოში მკურნალობის დროს ამ „ველურ აბა-ზანებში" ადამიანი გარდაიცვალა. მეორე დღეს, როგორც ჩანს მომხდარის გავლენის ქვეშ ვიყავი და მოწყენილი გამომეტყველება მქონდა. იმასაც ვფიქ-რობდი, მჟავანაძეს ამ ამბის შესახებ უთუოდ ეცოდინება და საყვედურს მეტყვის-მეთქი. როგორც ჩანს ვასილ პავლეს ძემ შემატყო უხასიათობა, რადგან სხვა

დროს ყოველთვის გაღიმებული ვხვდებოდი და შემეკითხა: „რატომ ხარ ამბროსი მოწყენილიო?“, მე ასეთ შეკითხვას არ მოველოდი, არც პასუხი მქონდა მომზადებული, ტყუილი კი ვერ გავბედე და როგორც იყო სინამდვილე, ისე ვუთხარი. ვასილ პავლეს ძემ მომხდარი ამბავი გულთან მიიტანა და როდესაც ქალაქკომის მდივანთან ჰქონდა შეხვედრა, საყვედური უთქვამს, რატომ არ ხედავ ამ საქმესო. მდივნის გვარი არ მახსოვს, „შენეს“ ხმარება იცოდა, გამომიძახა და შემომიტია „შენე კაცო, რამდენი ვინმე წყალში დაიხრჩვება ყველა ვასილ პავლოვიჩს უნდა უთხრაო?“.

ამ შემთხვევამ დაუსვა წერტილი წყალტუბოში „ველური აბაზანების“ არსებობას. გამოიყო ასიგნებანი და ღელე ბეტონის კოლექტორში ჩასვეს.

წყალტუბოში მკურნალობის დანიშნვის დროს ძირითადად ვემყარებოდით საკურორტო რუკას, რომელიც ავადმყოფს თან ჩამოჰქონდა. მასში მოკლედ, მაგრამ გასაგებად იყო აღნიშნული დიაგნოზი, თუ რა ცვლილებები არსებობს ორგანიზმში და რომ ესაჭირეობა წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობა.

ჩვენ დასკვნები, ამ რუკაზე დაყრდნობით გამოგვქონდა, მაგრამ აუცილებლად ვამოწმებდით, ხომ არ ჰქონდა ავადმყოფს რაიმე დაავადება, რომლის დროსაც წყალტუბოს წყალს უკუჩვენება გააჩნია.

ამ საკითხს შევეხე იმიტომ, რომ ერთ შემთხვევაში წყალტუბოში მაღალი თანამდებობის პირის მკურნალობის დროს მივიღეთ უარყოფითი შედეგი:

არასწორი დიაგნოზით წყალტუბოს ეწვია თავდაცვის მინისტრი როდიონ მალინოვსკი. წყალტუბოში შემოწმების და გამოკვლევის დროს კი ამ დაავადების გამოვლენა შეუძლებელი იყო. თვითონ ავადმყოფი დაჟინებით მოითხოვდა: „მე ვიცი, სტალინი აქ მკურნალობის შემდეგ კარგად შეიქმნა და მეც მომარჩინეთო.“

დავუნიშნეთ მკურნალობა, მაგრამ დღითიდღე ნათელი ხდებოდა, რომ იგი ჩვენი ავადმყოფი არ იყო. წყალტუბოდან წასვლის შემდეგ მალინოვსკი მალე გარდაიცვალა ავთვისებიანი სიმსივნით. როგორც ჩანს ექიმებმა მოსკოვში ვერ დასვეს სწორი დიაგნოზი, ან ვერ გაუბედეს ავადმყოფს ავადმყოფობის გამხელა. ავთვისებიან სიმსივნეზე კი ყოველგვარი წყლის პროცედურები და მითუმეტეს რადონიანი წყალი პროცესის დამაჩქარებლად მოქმედებს.

ამ ამბის შემდეგ მოსკოვის მე-4 სამმართველოს ექიმები მიხვდნენ, რომ წყალტუბოს წყალი მთლად უწყინარი არ არის და ცოტა შეშინდნენ კიდეც.

კონსტანტინე გამსახურდია

წყალტუბოში ხშირი სტუმარი იყო ჩემთვის ახლობელი ადამიანი, კონსტანტინე გამსახურდია. „ჩემს ძველ მეგობარს, ექიმ ამბროსი კირტავას დიდი პატივისცემით და ძმური სიყვარულით.“ ასეთი წარწერა გაუკეთა მან თავის თხზულებათა კრებულს, რომელიც მე მაჩუქა.

კონსტანტინეს ვიცნობდი და მასთან ახლო ურთიერთობა მქონდა, ჩემი სტუდენტობის პერიოდიდან. იგი ჩემზე 10 წლით უფროსი იყო, რაც ახალგაზრდობის პერიოდში დიდი სხვაობაა, მაგრამ ის, რომ ჩვენ თბილისში ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობდით, ხოლო წარმოშობით საქართველოს ერთი კუთხიდან ვიყავით, აგრეთვე იმის გამო, რომ კონსტანტინე ამ დროს უკვე ცნობილი მწერალი იყო, ვცდილობდი მასთან ახლოს ვყოფილიყავი. ხშირად, როდესაც ერთმანეთს შევხდებოდით, მეგრულად ჩავულაპარაკებდით კიდეც. გვაქვს მეგრელებს ეს „სუსტი“ მხარე, რას იზამ. ამ პერიოდში მე უკვე ფარმაცევტად ვმუშაობდი და თან უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე ვსწავლობდი. იყო შემთხვევა, წიგნსაც ვნათხოვრობდი ბატონ კონსტანტინესაგან. უყვარდა

ამბის მოსმენა, უფრო კი — შეკითხვები, თანაც ისეთ რამეს გკითხავდა, რაზედაც ადვილი არ იყო პასუხის გაცემა. მახსოვს, ერთ ხანს თითქოს მედიცინის შესწავლას მიჰყო ხელი. იმ პერიოდში რამდენჯერაც შევხვდი, სულ საშვილოსნოს გარეთ ორსულობაზე მესაუბრებოდა. თან, ეტყობოდა, უკვე წაკითხული ჰქონდა ლიტერატურა ამის შესახებ, წიგნის ენით მიყვებოდა. ძლიერი მეხსიერება ჰქონდა, მიკვირდა საიდან იცის ამდენი, ან რაში სჭირდება ამის ცოდნა-მეთქი. ყველაფრის გამხელა არ უყვარდა. — მწერალმა ყველაფერი უნდა იცოდესო, ამბობდა. როცა შემდგომში „მთვარის მოტაცება" გამოაქვეყნა და წავიკითხე, მივხვდი როგორ გამოიყენა საშვილოსნოს გარეთ ორსულობის ცოდნა. ან შეიძლება სწორეთ იმ პერიოდში წერდა, ვინ იცის.

წყალტუბოში როცა ჩამოვიდოდა, აბაზანებს ლუქსში ვუნიშნავდით. №6 სააბაზანოს სამხრეთით მდებარე ლუქსში ადრე აბაზანები მიიღო სტალინმა, ხოლო ჩრდილოეთით მდებარე ლუქსში ვატარებდით მთავრობის წარმომადგენლებს და სხვა საპატივცემულო პირებს.

კონსტანტინეს მეუღლე ქალბატონი მირანდა კაბინაში მოთავსდებოდა, კონსტანტინეს კი აუზში უყვარდა აბაზანის მიღება, მაგრამ ყოველთვის იკითხავდა, ვინ არის შიგო? ერთხელ უთხრეს, ერთი რუსი გენერალია, თქვენც შებრძანდით ბატონო კონსტანტინეო. „გენერალი? რუსი? არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში!"— რამდენჯერმე გაუმეორა თურმე, ლუქსის ექთანს და კაბინის განთავისუფლებას დაელოდა.

საუბარი უყვარდა. ამოდი ჩემთანო, მეტყოდა. რომ მივიდოდი, გამოიტანდა სხვადასხვა ღვინით სავსე რამდენიმე ბოთლს. „ა, ამბროსი, ეს ოჯალეშია, გასინჯე". შეავსებდა ჭიქებს, გახედავდა, მოსვამდა, ისევ გახედავდა და წრუპვით შესვამდა. შენც ასე უნდა მოქცეულიყავი, მთლად შენს ჭკუაზე კი არ გაგიშვებდა.

შემდეგ მეორე ბოთლს გახსნიდა, დაგისხამდა. „ეს ამბროსი შონურია. მარტვილში გქონდათ შონური? ყველას ჩემით ვწურავ. ჩავდივარ სოფელში, ზოგჯერ შევასახელებ ახლობლებს და ჩამომიტანენ ყურძენს. ერთმანეთში ერთ მარცვალსაც არ ავურევ. ბევრი კი არ მინდა, სხვადასხვა ჯიში რომ გვაქვს, ეს მახარებს, ესაა ერის სიმდიდრეო, კაჭიჭიც მაქვს ჩამოტანილი და იმასაც გაგასინჯებო".

სტალინის წყალტუბოში ჩამოსვლის შემდეგ სტუმრობისას დაწვრილებით გამომკითხა მისი მკურნალობის ამბავი. სტალინი არ უყვარდა. რუსებს ეხმარება საქართველოს გარუსებაშიო.

ოჯახის, შვილების ამბავი მკითხა ერთხელ. მე ვუთხარი უფროსი შვილი

ინჟინერია, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშაობს, კონსტრუქტორია-მეთქი. შეწუხდა, „რა უნდოდა ქუთაისში საავტომობილო ქარხანასო.“ „რატომ ბატონო კონსტანტინე, მრეწველობა არ უნდა საქართველოს?“ – შევბედე. „ის მერჩია ურმით მევლო, ოღონდ ეგ გარუსების კერა არ აშენებულიყო ამ შუაგულ იმერეთშიო.“

მერე განაგრძო: მეგრელებს, ხომ იცი, რბილი ნიშნის (ь) გამოთქმა არ უჭირთ, ადვილად რუსდებიან. ვერ ატყობ, მეგრელი რუსულს რომ ისწავლის, ისე ლაპარაკობს, რუსისგან ვერ გაარჩევ, „ა მაგალითად, ჩვენი მეგობარი ბონდო ჩიქოვანი (პროფესორი, ნეიროქირურგი) მეგრული იცის და უფრო კარგად რუსული. ქართულად უჭირს ლაპარაკი. ესაა საქმე?“.

„რამდენი რუსი მუშაობს ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში?“ – მკითხა. არ ვიცოდი, ვერ ვუთხარი, „ოო – კიდევ კარგი, მაგენი ჩვენი არ იყოს, ბევრ შვილებს არ აჩენენ, თორემ ზოგიერთი ერივით, რომ მრავლდებოდნენ, ჩვენს სიცოცხლეშივე წაგვლეკავდნენო“.

ერთხელ შემეკითხა: „აბა მითხარი, რა განსხვავებაა თერძსა და მწერალს შორის?“ დავფიქრდი ცოტა ხნით და ვუპასუხე, თერძმა უნდა კეროს და მწერალმა უნდა წეროს-მეთქი. „კი მასეა, მაგრამ მთლად მასეც არ არის. თერძმა, როგორც შეუკვეთენ ისე უნდა შეკეროს. მწერალმა კი, რასაც თვითონ ხედავს და როგორც თვითონ ესმის, ისე უნდა წეროსო“, – მიპასუხა.

1959 წლის ნოემბერშიც ასე იყო. წყალტუბოში ჩამოვიდა სამკურნალოდ. ამოდიო ჩვენთან, მითხრა. ამჯერად მას ვაჟიშვილი ზვიადიც ახლდა. ვისადილეთ, ვისაუბრეთ. მე მომხიბლა ზვიადის განსწავლულობამ, სიტყვა-პასუხმა, თავაზიანობამ. მას იმ პერიოდში, რაც გადახდა, ყველაფერი ვიცოდი. „მამა ბატონო“ თუ, „ბატონო მამა“ – ამ გამოთქმას ხმარობდა ზვიადი, როცა კონსტანტინეს მიმართავდა.

ნოემბრის ბოლოს შვილიშვილი შემეძინა, მე კონსტანტინეს და ზვიადის ძლიერ შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, როდესაც შემეკითხნენ, შენ რას ისურვებ, რა დავარქვათ ახალშობილსო? მთლად, რომ არ შემეზღუდა მშობლების პრიორიტეტი შვილისათვის სახელის შერჩევის საქმეში, ასე ვუპასუხე: თქვენ რაც გინდათ ის დაარქვით, ხოლო მე თუ მკითხავთ, ზვიადი დავარქვათ-მეთქი. მართლაც ზვიადი დაარქვეს.

უცხოელთა მკურნალობა

1968 წლის ივლისის შუა რიცხვებში დამირეკეს და მითხრეს საღამოს 6 საათზე მივსულიყავი მეოთხე სამმართველოს სანატორიუმში. რადგან იმ საღამოს დამსვენებლებთან ლექცია მქონდა დანიშნული, სანატორიუმის უფროსს ადრე ჩემს მოადგილეს, ხოლო იმჟამად მეგობარს ოთარ ფრუიძეს დავუკავშირდი ტელეფონით და შევეკითხე, რატომ მიწვევდნენ. მან მითხრა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის ჩამოყვანა უნდათ წყალტუბოში სამკურნალოდ და კონსილიუმზე ხარ მოწვეულიო.

კონსილიუმს საკავშირო ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილე პროფესორი ევგენი ჩაზოვი ხელმძღვანელობდა. მან გამაცნო ვითარება: მითხრა, რომ ნასერი ავად არის და მუშაობის გაგრძელებას შეუძლოდ თვლის. მკურნალობა ჩაუტარდა, მაგრამ შედეგი არ ჩანს. დამავალეს გამომენახა რაიმე სამკურნალო საშუალება. ვიცოდი, რომ წყალტუბოს წყლებით წარმატებით მკურნალობთ მაობლიტერებელ ენდარტერიიტს, ამიტომ გადავწყვიტე ჩამოვსულიყავი და გამეგო თუ არის იმის საშუალება, რომ უმკურნალოთ. აგრეთვე არის თუ არა შესაფერისი პირობები, რომ მივიღოთ საზღვარგარეთიდან ასეთი მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწე წყალტუბოში. ჩაზოვმა გამაფრთხილა, ძალიან კრიტიკულად ამეწონა ყოველივე, რადგან მკურნალობის მხრივ პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათო. მოვითხოვე ავადმყოფის ჩვენება. ავადმყოფი ამჟამად ეგვიპტეშია, ავადმყოფობის ისტორიას გაგაცნობთო. წარმომიდგინეს მკურნალი ექიმი მოსკოველი ივანე ტულპანი. საუბარს ესწრებოდნენ აგრეთვე საქართველოს მე-4 სამმართველოს უფროსი ზურაბ ნემსაძე და ოთარ ფრუიძე. წაგვიკითხეს ავადმყოფობის ისტორია. მე მოვახსენე, რომ რაც მოვისმინე ამის მიხედვით წყალტუბოში მკურნალობა შეიძლება და შედეგსაც მივიღებთ. ჩაზოვმა კვლავ გამაფრთხილა, რომ ეს არის დიდად საპასუხისმგებლო საქმე, ჩვენ ეგვიპტე დიდი თანხები გვიჯდება და არ შეცდეო. ავადმყოფის უნახავად მეტის თქმა არ შემიძლია-მეთქი. გადაწყდა, ნასერი სამკურნალოდ წყალტუბოში ჩამოეყვანათ.

სასწრაფოდ მოგვარდა სამოქალაქო აეროპორტის გახსნა კოპიტნარში. რამდენიმე დღის შემდეგ გამალ აბდელ ნასერი თავის ცოლ-შვილით და მხლებლებით ჩამოფრინდა და მე-4 სამმართველოს სანატორიუმში დაიკავა ერთი კორპუსი. დანიშნა გაფართოებული კონსილიუმი, რომელსაც ესწრებოდნენ ე. ჩაზოვი, ორი პროფესორი ეგვიპტიდან, დაცვის წარმომადგენლები და ჩვენ დამსვდურები. ინფორმაციის დროს ჩაზოვმა ნასერს გააცნო ჩემი თავი, როგორც

პროფესორი. მე უმალ ვუპასუხე, რომ პროფესორი არა ვარ. ჩაზოვმა განმარტა, თქვენ ხართ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში შეიძლება გიწოდოთ პროფესორი. მოვითხოვე ავადმყოფის გასინჯვა. მინდოდა პირადად დავრწმუნებულიყავი მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში.

ნასერი მეზობელ ოთახში გაიყვანეს, შევედი, იწვა, შემოიყვანეს თარჯიმანი, ზეწარი გადავხადე, როგორც ჩანს ჩემდა უნებურად სახეზე სიამოვნება გამომეხატა. ეს შეუმჩნევია ნასერს და რაღაც ჩაილაპარაკა. თარჯიმანმა გადამითარგმნა: „ექიმს სახე გაუბრწყინდაო“. მე ვუპასუხე, რომ კიდურებზე პირველმა დახედვამ მომცა დამაკმაყოფილებელი სურათი, ბევრი ძალიან დაზიანებული კიდურებით ჩამოსულები განუკურნავს წყალტუბოს, თქვენ კი გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გაქვთ, მხოლოდ იცოდეთ მკურნალობის პერიოდში მოსალოდნელია ავადმყოფობის გამწვავება, რამაც შეიძლება დროებით შეაწუხოს ავადმყოფი და ამან არ უნდა შეაშინოს არც ექიმი და არც პაციენტი. შემდეგ დავსძინე,

გამალ აბდელ ნასერი და ამბროსი კირტავა

მიზანშეწონილია და სწორია თქვენი წყალტუბოში სამკურნალოდ ჩამოსვლა, ხვალ დილით 10 საათზე მობრძანდით აბაზანის მისაღებად-მეთქი.

მეორე დღეს ნასერმა აბაზანების მიღება დაიწყო №6 სააბაზანოს სამხრეთ მხარეს განლაგებულ ლუქსის აუზში. ეს პირველი შემთხვევა იყო სტალინის აქ მკურნალობის შემდეგ. ნასერს ამის შესახებ უთხრეს. მან ეს დიდ დაფასებად მიიღო და კმაყოფილება გამოთქვა.

რამდენიმე პროცედურის მიღების შემდეგ ნასერმა აღნიშნა კარგი გუნება-განწყობილება. თან დასძინა, რომ საძილე საშუალებების მიღების გარეშე ვიძინებო. ასე გასტანა კიდევ სამი დღე. მეოთხე დღეს მწარე ღიმილით რაღაც უთხრა თარჯიმანს, რომელმაც გადამითარგმნა: „გადაეცით ექიმს, დაუძახოს დურგალს, წელის არეში ლურსმანი მაქვს და ამომიღოსო". მე ვუპასუხე: გაიხსენეთ ჩემი გაფრთხილება, მკურნალობის დაწყების წინ რომ მოგეცით. გამწვავება დამახასიათებელია წყალტუბოში მკურნალობისთვის, მას ვუწოდებთ ბალნეოლოგიურ რეაქციას და თავისით გაივლის-მეთქი. მართლაც რამდენიმე პროცედურის შემდეგ ნასერმა აღნიშნა: „ლურსმანი აღარ მაწუხებსო". დღეში ერთ პროცედურას ღებულობდა და მთლიანად 24 აბაზანა მიიღო.

მკურნალობის შედეგის დასაზუსტებლად კვლავ შეიკრიბა კონსილიუმი იგივე შემადგენლობით, რომელზედაც აღინიშნა ჯანმრთელობის საგრძნობი გაუმჯობესება. მე გამოვთქვი აზრი, რომ გაუმჯობესება გამოჯანსაღებას არ ნიშნავს, საჭიროა ერთი თვე სანატორიუმში დასვენება, მაგალითად ზღვაზე, ალექსანდრიაში, ხოლო ერთი წლის შემდეგ მკურნალობის განმეორება წყალტუბოში.

ნასერმა მკურნალობისათვის დიდი მადლობა გადამიხადა. მომართვა საჩუქრები. მე კატეგორიული უარი განვაცხადე, ავუხსენი, რომ მაქვს დამაკმაყოფილებელი ხელფასი და მატერიალურად უზრუნველყოფილი ვარ. სახეზე შეეტყო გაოცება. დაცვისა და უშიშროების მუშაკებმა ამიხსნეს, რომ ეს მაგათთან მიღებულია და ჩვენთვისაც ცნობილიაო, მთხოვეს, მიმეღო საჩუქრები. მე მადლობა გადავუხადე ჩემს პაციენტს.

1968 წლის 14 აგვისტოს საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის სამინისტროს ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერდა ე. ჩაზოვი, ნასერის მკურნალობისათვის დამაჯილდოვეს ფულადი პრემიით.

1969 წლის ივლისის შუა რიცხვებში გვესტუმრნენ ედუარდ შევარდნაძე და ევგენი ჩაზოვი. მათ ჩამოიყვანეს ნასერის შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე ხადიგ ხასანი, რომელსაც წყალტუბოში მკურნალობა ესაჭიროებოდა.

ევგენი ჩაზოვმა გადმომცა ფოტოსურათები, რომელიც ნასერმა წინა წელს წყალტუბოში მკურნალობის დროს ჩემთან ერთად გადაიღო. აგრეთვე ერაბული გაზეთი, სადაც პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო ცნობა ნასერის წყალტუბოში მკურნალობის შესახებ და მისი და ჩემი სურათი.

ჩაზოვმა შემეკითხა: აგვისტოში ნასერი კვლავ შეიძლება გვეწვიოს და ხომ იქნები ადგილზეო, რაზეც რა საკვირველია დადებითად ვუპასუხე. ხადიგ ხასანისათვის მკურნალობის დანიშვნის შემდეგ, სადილზე ედუარდ ამბროსის ძემ გაიხსენა, რომ ქუთაისში მუშაობის პერიოდში რამდენჯერმე მეუღლესთან ერთად იმკურნალა წყალტუბოში ჩემთან და კარგი შედეგი მიიღო. აგრეთვე აღნიშნა, რომ მოსკოვში ძალიან კმაყოფილები არიან ნასერის წყალტუბოში მკურნალობის შედეგითო.

1970 წლის 12 სექტემბერს საკავშირო ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილის ე. ჩაზოვის მიწვევით ვიყავი მოსკოვში. უნდა გადაგვეწყვიტა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვალტერ ულბრიხტისა და მისი მეუღლის ქალბატონ ლოტტის წყალტუბოში მკურნალობის საკითხი.

ვალტერ ულბრიხტი 80 წლისა იყო. 4 თვის წინ გადატანილი ჰქონდა გულის ინფარქტი. მიუხედავად ამისა, როგორც გადმომცეს, ჯიუტად მოითხოვდა წყალტუბოში მკურნალობას. აღნიშნავდა სტალინის, ნასერის და სხვათა წყალტუბოში მკურნალობის და გამოჯანსაღების შესახებ. წყალტუბოში ასეთი ავადმყოფის მკურნალობა სარისკოა-მეთქი, ვთქვი კონსილიუმზე. პირველი ევგენი ჩაზოვი დამეთანხმა. შემდეგ სხვა ექიმებმაც აგვიხეს ბჭარი და მკურნალობა რამდენიმე ხნით გადავდევით.

ქალბატონ ლოტტის ვუმკურნალეთ წყალტუბოში და დიდად კმაყოფილი წავიდა.

ივანე კოზლოვსკი ლუქსის ექთნებთან

1958 წლის ბოლოს უკრაინელმა მწერალმა ქალმა ეკატერინა სურგუტსკაიამ თავისი წიგნი „გაუყინავი მდინარეები“ გამომიგზავნა. წიგნს რაიმე წერილი არ მოჰყოლია, მხოლოდ პირველ გვერდზე სათაურის ქვემოთ ჰქონდა გაკეთებული წარწერა: „ღრმად პატივცემულ ამბროსი იაკობის ძე კირტავას კეთილი მოგონებისათვის. ველოდები თქვენს გამოხმაურებას“. მართალი გითხრათ, წიგნის წაკითხვის სურვილი არ გამჩენია. სხვა უფრო ცნობილი ავტორებისგან მომდიოდა ასეთი სახსოვარი. პირადად ვიცნობდი ბევრ გამოჩენილ მწერალს, მსახიობს, ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებს. გამოჩენილი მომღერალი ივანე კოზლოვსკი რომ შემოვიდოდა კაბინეტში, ერთი დღის უნახავი თუ ვყავდი და იქ უცხო არავინ იყო, თავის მომაჯადოებელი ხმით ოპერა „ევგენი ონეგინიდან“ მომიმღერებდა „კუდა, კუდა, კუდა ვი უდალილის“. მწერალი სერგეი მიხალკოვი და მისი მეუღლე ნატალია კონჩალოვსკაია რომ ჩამოვიდოდნენ, იქვე კაბინეტში მომიწყობდნენ მხატრული კითხვის საღამოს. სერგეი დაიწყებდა თავის იგავ-არაკების კითხვას, ზოგს ზეპირად, ზოგს სახელდახელოდ წამოღებული წიგნიდან კითხულობდა. ჰოდა ეკატერინა სურგუტსკაიას ეს წიგნი წაუკითხავად შევინახე კარადაში. ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ ჩემი ერთ-ერთი ავადმყოფი მწერდა ქ. ულანოვიდან: „პატივცემულო ექიმო, თქვენზე ერთ წიგნში მთელი რამდენიმე თავია მიძღვნილი და თუ წაიკითხეთო“. ვთხოვე ავტორის ვინაობა ემცნო. მან წერილთან ერთად წიგნიც გამომიგზავნა. ყდას, რომ დავხედე, მაშინ მივხვდი, რომ ასეთი წიგნი მეც მქონდა. კარადიდან გამოვიღე, წავიკითხე მასზე ავტორისეული

წარწერა და ახლა მივხვდი, რასაც ნიშნავდა „ველოდები თქვენს გამოხმაურებასო“. იფიქრა, ალბათ, წაიკითხავს თავის შესახებ და მომწერს რაიმე აზრსო. მე კი სრული დაუდევრობა გამოვიჩინე. ახლა, რა თქმა უნდა, წავიკითხე „გაყყინავი მდინარეები“. ჰიდროტექნიკოსების ცხოვრებას შეეხება. რუსებს, რომ უყვართ ისეთი რომანია. მწერალ ქალს ჩემი გვარისათვის უფრო მეტი ქართული ულერადობა რომ მიეცა, ბოლოში „შვილი“ მიუმატებია.

დამსვენებელთა შორის ბევრი ცნობისმოყვარე იყო, ყველაფერს გამოგკითხავდნენ, რა აქვს მეტი საქმე დამსვენებელს. ვერც გაამტყუნებ. ეს ქალი სახეზე არ მახსოვს, მაგრამ დროთა განმავლობაში მომაგონდა, შემოდიოდა და მეკითხებოდა, რას მკურნალობთ, რაზე მუშაობთ, ეს რა დაავადებაო, თან რაღაცეებს იწერდა. ერთხანს მეგონა, მეარშიყება-მეთქი. როგორც ჩანს, ბევრი რამ ვუამბე, მაგრამ ამ დალოცვილს ისე გაუბერავს, ლამის არის გმირად გამომიყვანოს. ბევრი ბრახაბრუხია წიგნში, მაგრამ რაგინდა რომ ქნა, მაინც გამიხარდა. როცა პენსიაზე გავედი და საქმე შემომელია, თავი მოვუყარე ჩემს მოგონებებს — სხვამ თუ არა, იქნებ, შინაურებმა მაინც წაიკითხონ-მეთქი; აზრად ისიც მომივიდა, ამ წიგნიდან ის ადგილიც მეთარგმნა, სადაც ჩემზეა ლაპარაკი. რა იცის კაცმა, იქნებ პატარა მოგონებების სახით კიდევაც დამიბეჭდონ. ზოგ რამეს ხაზს გადაუსვამენ, მაგრამ ნახევარი ხომ დარჩება, თუ არა და უსაქმურობას ხომ გადამარჩინა, ხომ შევიქციე თავი.

მაგრამ ეს რა ამბავია! რაში დასჭირდა ავტორს ჩემი ქება-დიდების პარალელურად ქართველი სანიტარი კაცის, რომელიც ნაწარმოების მთავარ გმირს დაკუნტულ ავადმყოფ კედროვს ხელის ეტლით დაატარებს აბაზანაში, საზიზღარ ჯოჯოსთან შედარება. ყური უგდეთ:

„წებოვან ქსელში შებოჭილი სერგეი ივანეს ძე თავს ისე გრძნობდა, როგორც აბრეშუმის ჭია პარკში. ილბლად დარჩენილ პატარა ჭუჭრუტანაში იგი ჭვრეტდა საკვირველებას, რომელიც კმაყოფილებით იწმენდდა მწვანე ქსოვილისმაგვარ ხელებს. დაჟინებით უყურებდა რა თოჯინას სახეში, კედროვმა უცებ მასში ვიღაც ნაცნობი შეიცნო. იგივე მწვანე გახუნებული თვალები, იგივე ტუჩები, იგივე კეხიანი ცხვირი!... მაგრამ რატომაა, რომ ეს ნაცნობი ნაკვთები ასე საზიზღრად და საშინლად ეჩვენება? სხვათაშორის, ეს ახლა არ არის მნიშვნელოვანი, მთავარია, უნდა გაიგოს, რატომ შებოჭეს იგი ქსელით“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორი ნაწარმოების სხვა ადგილზე „კეხიანი ცხვირით“ სწორედ სანიტარს ახასიათებს, მაშინ გასაგები გახდება რატომ ეჩვენება მას „ეს ნაცნობი ნაკვთები ასე საზიზღრად და საშინლად“.

მივხვდი: თუ თქვეს, რომ ქართველები კარგები არიან, აუცილებლად უნდა თქვან, რომ ისინი საზიზღრებიც არიან, თორემ ბალანსი დაირღვევა.

შეიძლება, ავტორს სულაც არ ჰქონდა ნაწარმოებში ეს სიუჟეტი და გამომცემლობამ მოითხივა ქება-დიდების განეიტრალება. ეს დამახასიათებელი იყო ხრუშოვის პერიოდისათვის, როდესაც ეს წიგნია გამოცემული.

ერთიც კიდევ: ქალბატონი ეკატერინა თავის წიგნში აღწერს წყალტუბოში მეექვსე სააბაზანოს წინ დადგმულ ტარიელის ქანდაკებას და წერს: „ვეფხვისტყაოსანი რაინდი, რომელსაც ფეხქვეშ მოუქცევია ეს-ეს არის მის მიერ მოკლული ლომი, ახლა კი ძუ ლომს შებმია და ხელით ახრჩობს". მართლაც, ქანდაკების მიხედვით, ვერ მიხვდები ტარიელის მიერ ჰაერში ატაცებული მხეცი ლომია თუ ვეფხვი, არადა რა ქნას მწერალმა ქალმა, შოთას უკვდავი ნაწარმოები ჯერ წაკითხული რომ არა აქვს. თუმცა ეპატიება მწერალია, მკითხველი ხომ არაა.

მე კი ყოველივე ზემოთთქმულმა ისე გამაღიზიანა, რომ წიგნის ავტორს ვერავითარი „ოტზივი" ვერ გავუგზავნე.

აქვე გთავაზობთ ამ ნაწარმოებიდან ნაწყვეტს, სადაც ჩემს შესახებ არის მოთხრობილი.

ტარიელის ქანდაკება №6 სააბაზანოს წინ

ნაწყვეტი ეკატერინა სურგუტსკაიას რომანიდან „გაუყინავი მდინარეები“

გაღიზიანებულმა სანატორიუმის დირექტორმა, მაღალმა ზორბოხ მამაკაცმა ავტომობილი დაამუხრუჭა. მანქანა ღრჭიალით გაჩერდა თეთრი სვეტებიანი შენობის შესასვლელთან. დირექტორმა სასწრაფოდ აირბინა დაქანებული კიბით მეორე სართულზე და ნებართვის გარეშე შევარდა კაბინეტში, რომელშიც ამბროსი იაკობის ძე კირტავაშვილი ავადმყოფს სინჯავდა.

— კიდევ ექვსი კაცი ჩამოვიდა მაგ დიაგნოზით. შენ რას ფიქრობ! ისინი მხოლოდ ადგილს დაიჭერენ სანატირიუმში. მე მათ მაცესტაში გავგზავნი. ბოლოს და ბოლოს დაანებე თავი შარლატანობას.

დირექტორი ხელის ქნევით ტყვიაფრქვევივით უშენდა სიტყვებს. ასაკოვანი მრგვალი, წითელი სისხლის კაპილარებიანი პირსახის კირტავაშვილი გათეთრდა როგორც მიტკალი.

— გთხოვთ ერთი წუთით გაბრძანდეთ, — რუსულად მიმართა მან ავადმყოფს, რომელმაც თანაგრძნობით შემოხედა ექიმს და გავიდა. კირტავაშვილმა აუჩქარებლად გადაკეტა კარები, შეკრა თავისი წითელი მუშტები და მიიჭრა დირექტორთან.

— ამბროსი, რა გინდა, რომ ქნა? — აღრიალდა იგი.

— ახლავე დაინახავ! — კირტავაშვილს ამობურცული თვალები კიდევ უფრო დაუმრგვალდა.

— დაჯექი!

— დივანთან მიმწყდეული დირექტორი მორჩილად დაჯდა. კირტავაშვილმა ფართოდ გამოაღო წიგნების კარადის კარები და დაიწყო იქიდან ავადმყოფების ისტორიის საქაღალდეების მაგიდაზე გადმოყრა.

— ოცდათხუთმეტიდან ოცდახუთი ავადმყოფი გამოჯანმრთელებული წავიდა, ათს კი მდგომარეობა შეუმსუბუქდა. ეს არის შარლატანობა? — აი მათი წერილები! — ექიმი ხელების კანკალით ყრიდა წერილების შეკვრებს კარადიდან — იწერებიან, რომ ჯანმრთელად არიან, ზოგიერთი მათგანი კი მკურნალობდა ორი წლის წინ. ესეც შარლატანობაა?

— მომისმინე, ამბროსი, ჩვენ ხომ ორმოცი წელია ვიცნობთ ერთმანეთს.

— კარგი, ილაპარაკე, მე გისმენ, — კირტავაშვილი მძიმედ დაეშვა სკამზე.

— გახსოვს სწავლულთა საბჭო? შენი მოხსენების გამო მაშინ მხოლოდ ორი კაცი გამოვიდა. სხვებს არ სჯეროდათ შენი, გაჩუმებულები იყვნენ, რომ არ ეწყენინებინათ. შენ იღებ ავადმყოფობის მხოლოდ მსუბუქ შემთხვევებს, მაგრამ

ასეთები ხომ ხშირად თავისითაც განიკურნებიან. ორგანიზმი თავისით უმკლავდება ავადმყოფობას.

— ესე იგი, თქვენი გაგებით, უნდა ჩავთვალოთ, რომ ოცდახუთ ავადმყოფი ოცდათხუთმეტიდან თავისით გამოჯანმრთელდა?

— რატომ. წყალტუბოს წყაროებმა შეასრულეს გარკვეული როლი, როგორც თბური პროცედურები. ასეთი სითბო შეიძლება მივიღოთ ნებისმიერ აბაზანაში თუნდაც ბინაშიც კი.

— აი როგორი შეხედულება გაქვს შენ ჩემი კვლევითი სამუშაოს შესახებ?

— შენ კი ეს არ მოგდიოდა თავში?

— არა! — დაღონებით უპასუხა კირტავაშვილმა.

— მე ვხედავ, რომ შენ მუშტები დაუშვი, — ირონიულად შენიშნა დირექტორმა.

— არაა მართალი, მე განვაგრძობ ჩემს სამუშაოს! — ჩაილაპარაკა კირტავაშვილმა ისევ ისე გაბედულად.

— დაუდგრომელი კაცი ხარ შენ. ყველა ჩვენგანს აგდებ სულელურ მდგომარეობაში.

— მოითმინე და შენც დარწმუნდები ჩემს სიმართლეში, — კირტავაშვილი მივიდა დირექტორთან და მოულოდნელად მას ხელი ჩამოართვა, — ერთი საათის შემდეგ მე დავამთავრებ მიღებას და მოვალ თქვენთან.

— მოდი, მძიმე ავადმყოფი გამოგვიგზავნეს ლენინგრადიდან. იგი საოპერაციოა, მათ კი წყლებზე გამოგზავნეს... განგრენაა. უნდა მოიკვეთოს ფეხი მუხლსზემოთ და რაც უფრო მალ გაკეთდება ეს, მით უკეთესია.

სანატორიუმის უფროსი წავიდა, კირტავაშვილმა დაამთავრა მიღება და დაღლილი, ცუდი განწყობილებით გამოვიდა კაბინეტიდან.

შორეულ მთებზე ღამით მოეთოვა. მათი ბრწყინვალება ჩრდილავდა ხეებისა და ბუჩქების სიმწვანეს, შენობების წითელი კრამიტების ლამაზ სახურავებს და სანატორიუმების ღია-ყვითელი ფერის ფასადებს. კირტავაშვილი სკამზე ჩამოჯდა, უზრუნველად გაჰყურებდა პატარა ღრუბელს, თავისი ფორმით წყალქვეშა ნავს თუ ზღვის საკვირველებას რომ აგონებდა, რომელიც ყველაზე მაღალ მწვერვალს წამოდებოდა და გარინდულიყო, თითქოს განძრევის ეშინოდა, რომ ნაწილებად არ დამსხვრეულიყო. იქვე, წინ დგას ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ვეფხვისტყაოსანი რაინდი, რომელსაც ფეხქვეშ მოუქცევია ეს-ეს არის მის მიერ მოკლული ლომი, ახლა კი ძუ ლომს შებმია და ხელით ახრჩობს. გააფთრებული კბილებდაკრეჭილი მხეცი იკლაკნება თავის ზორბა სხეულით, ცდილობს

დაუსხლტეს ადამიანის ხელებს. კიდევ წამი და რაინდი მიწაზე დაანარცხებს ნადირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიტანა რა მზერა ღრუბლებიდან ქანდაკებაზე, კირტავაშვილმა გაიფიქრა, რომ მას აქვს, რაღაც საერთო უკვდავ შოთა რუსთაველის ამ გმირთან. იგი ებრძვის უფრო საშინელ, უფრო ძლიერ მხეცს — ადამიანის დაავადებას.

ბევრი, ბევრი წლების უკან, ისევე, როგორც ახლა ამ ქვაბულის ნიადაგიდან მოჩუხჩუხებდა სამკურნალო წყლის მრავალი წყარო, რომლის ტემპერატურა არც წლის არც დღის განმავლობაში არ იცვლებოდა. იგი ყოველთვის ერთნაირად თბილი იყო.

ხალხური თქმულება ამ წყაროების აღმოჩენას მწყემსს მიაწერს, რომელსაც სძლიერ ტკიოდა ქვედა კიდურები. ერთხელ იგი გაემართა მეზობელ სოფელში. გზად დასვენების დროს სიარულისაგან გახურებული ფეხები წყალში ჩაუყვია. სასიამოვნო სითბოს მოუხიბლავს და რამდენიმე ხანს დაყოვნებულა, როცა წყლიდან ამოსულა, მწყემსს ტკივილი ერთბაშად გაქრობია. მოუყვა თურმე ეს ამბავი სოფელს და მალე საკვირველი წყაროს შესახებ მთელ ქვეყანას გაუგია. მეფეს ბრძანება გაუცია, გაეკაფათ გარშემო ტყე და იქ აბანო აეშენებიათ.

ქართველი ბიჭის ბებიასაც ტკიოდა კიდურები და იგი ეუბნებოდა შვილიშვილს — ისწავლე ექიმობა, ჩემო ბიჭო, დიდი და კეთილშობილი საქმეა კურნავდე ავადმყოფ ადამიანს.

ბებიას სურვილი ახდა. მისმა შვილიშვილმა ამბროსი იაკობის ძე კირტავაშვილმა დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. მთელი ომის პერიოდი კირტავაშვილმა ფრონტზე გაატარა. დაჭრილებს მკურნალობდა, შემდეგ კი დაბრუნდა სამშობლოში — საქართველოში და მუშაობა დაიწყო წყალტუბოში ერთ-ერთი სააბაზანოს მთავარ ექიმად. ბევრი წელი მოანდომა მან სისხლ-ძარღვთა დაავადების შესწავლას და მას ახლა ესმოდა ამ ავადმყოფობის მიზეზები, განვითარების პროცესი და შედეგები.

ახსენდება ახალგაზრდა ექიმი — ქირურგი სვერდლოვსკიდან, რომელთანაც ერთად ის ომის მკაცრ წლებში მუშაობდა. შიმშილი, შიში, ორმოცგრადუსიანი ყინვა. ცოტა მაინც რომ გამთბარიყვნენ, ჯარისკაცები თოვლში ჩაეფლობოდნენ. როცა ქირურგი გარემოცვიდან გაანთავისუფლეს, მას ხელები და ფეხები მოყინული ჰქონდა. მაშინ კირტავაშვილს ბევრი შრომა დასჭირდა, რომ გადაერჩინა მეგობარი, კიდურების ამპუტაციისაგან. კარგა ხნის შემდეგ ამბროსი იაკობის ძეს კვლავ მოუვიდა თავისი კოლეგისაგან მღელვარე წერილი. მეგობარი წერდა, რომ ხეიბარი გახდა და როგორც სჩანს სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვო ქირურგის დანასო.

წაიკითხა, რა ეს კირტავაშვილმა, რისკი გასწია, იხმო ძველი თანამებრძოლი თავისთან. წყალტუბოს წყლებმა გადაურჩინეს მის მეგობარს ხელ-ფეხი. ხალხში გავარდნილ ხმას ვერაფერი ვერ შეაჩერებს. წყალტუბოში ერთი-მეორეზე ჩამოდიოდნენ ავადმყოფები. სანატორიუმის ექიმები მათ უმტკიცებდნენ, რომ ისინი აქ გამოგზავნილი არიან შეცდომით. ავადმყოფები კი ჯიუტად მოითხოვდნენ მკურნალობის დანიშვნას. მაშინ მათ გზავნიდნენ კირტავაშვილთან.

წყალტუბოს წყლების სამკურნალო ფაქტორის ანალიზმა და გამოჯანმრთელებულ ავადმყოფებზე დაკვირვებამ კირტავაშვილი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ამ დაავადების წყალტუბოში მკურნალობა მიზანშეწონილია. რადონი, რომელსაც წყალტუბოს წყალი შეიცავს — აღმოჩნდა ის იარაღი, რომელიც კლავს იმ მხეცს, რომელზედაც ამდენი წელი ნადირობდა კირტავაშვილი. ექიმმა ზუსტი აპარატურის საშუალებით აწარმოა ობიექტური დაკვირვება მკურნალობის დროს ავადმყოფის სისხლ-ძარღვებში მომხდარ ცვლილებებზე.

ძნელი იყო მკურნალობის კურსის დადგენა ავადმყოფობის კატეგორიების და მათი საერთო მდგომარეობის მიხედვით, ზოგისათვის საჭირო იყო ოცი, ზოგისათვის ოცდაათი და ზოგისათვის კი ორმოცი აბაზანა. ექიმი ავადმყოფებს უნიშნავდა არა მარტო აბაზანებს არამედ, ურჩევდა კვების რეჟიმს და სპეციალურ ვარჯიშს. მკურნალობის მეთოდიკა უკვე გამომუშავებული იყო. ახლა კვლევისათვის საჭირო იყო ავადმყოფთა დიდი ნაკადი. ისინი კი ისევ კანტიკუნტად ჩამოდიოდნენ, როგორც „შეცდომით“ წარმოგზავნილები. კირტავაშვილი მკურნალობდა მათ უწყვეტად, აზუსტებდა მკურნალობის მეთოდებს და ამტკიცებდა თავის გამოკვლევას.

კურორტის ყველაზე დიდი სანატორიუმის დირექტორთან წალაპარაკებამ ექიმს ხასიათი წაუხდინა.

იდეამ, რომ გაიმარჯვოს ცოტაა, რომ მარტო თვითონ იყო დარწმუნებული, საჭიროა სხვაც დაარწმუნო, — გაიფიქრა კირტავაშვილმა; მაგრამ როგორ უნდა დაარწმუნო ისინი, როგორ დაუმტკიცო? მე მიჭირავს საშინელი მტაცებელი ტყავით, მგონია, ადამიანები მოვლენ ჩემთან მოსასმარებლად, ისინი კი ხიშტს იწვდიან, მხეცის წინააღმდეგ კი არა, არამედ ჩემს წინააღმდეგ. მეყოფა კი მე ძალა, რომ გავუძლო?

მიწაზე ჩამოწვა ღამის სიბნელე. ბაყაყების გამაყრუებელ ყიყინში გაისმა ბულბულის ნაზი გალობა.

კირტავაშვილი მძიმედ ადგა სკამიდან და ნელა წატორტმანდა არხის გაყოლებაზე ხეივნის გავლით. სანატორიუმთან იგი ცოტა ხნით შეჩერდა,

თითქოს წონიდა თავის შესაძლებლობებს და ძალებს, ხოლო შემდეგ გაბედულად შევიდა ფართო, სარკეებით და პალმებით მორთულ ვესტიბიულში. აქ მას შემოხვდა ახალგაზრდა მედდა.

— ჩვენ დიდი ხანია გელოდებით. ავადმყოფი ძალიან ცუდადაა, — ჩაილაპარაკა მან ქართულად.

კირტავაშვილი უხმოდ გაყვა მას მორიგე ექიმის კაბინეტში. ამბროსი იაკობის ძეს იცნობდნენ, როგორც მხიარულ, კარგ მოსაუბრე პიროვნებას. უყვარდა ხუმრობა, შეეძლო გონებამახვილი ანეკდოტების მოყოლა, მაგრამ დღეს იგი დაღლილი და ნაღვლიანი გამოიყურებოდა. მან ჩვეულებისამებრ საპნით და ჯაგრისით დაიბანა ხელები, მედდის დახმარებით ჩაიცვა თეთრი გახამებული ქათქათა ხალათი და ორი ექიმი ქალისა და მედდის თანხლებით გაემართა ავადმყოფთან.

დერეფანში მათ შეხვდათ მთავარი ექიმი. ავადმყოფი კედროვი ცალკე პალატაში იწვა.

მისთვის გაუკეთებიათ დიდი დოზით ტკივილის გამაყუჩებელი წამალი, ამის გარეშე მას სრულებით არ შეეძლო ძილი. საშინელი ტკივილები აქვს, — აცნობა მორიგე ექიმმა.

კირტავაშვილმა გადახადა ავადმყოფს საბანი და შეცბა, ყველანი მას შესცქეროდნენ, ექიმები ელოდებოდნენ, რას იტყოდა იგი. მძიმე ფიქრებში წასული ამბროსი იაკობის ძე თავზე დაადგა ავადმყოფს და დადუმდა.

— რას იტყვი? — ვერ მოითმინა მთავარმა ექიმმა. კირტავაშვილს გაუელვა აზრმა არ გაერისკა და მან ფრთხილად დაახურა საბანი.

კედროვს მოულოდნელად გაეღიმა. იგი დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შეყურებდა ექიმს. მიხვდა, რომ ეს არის ის, ვისაც იცნობს საიპიანის მონათხრობიდან.

— საოპერაციოა, და ეს ჯობია გაკეთდეს დღესვე, — ჩაილაპარაკა ქართულად მთავარმა ექიმმა.

სერგეი ივანეს ძე კედროვი მიმიკით მიხვდა ამ სიტყვების აზრს და შეშინდა. წითური, მრგვალთვალებიანი კირტავაშვილი ჯერ კიდევ იდგა ფიქრებში წასული. კედროვი დაჟინებით შეაჩერდა მას თვალებში, მან იგრძნო, რომ ექიმს ეშინია ისეთი ავადმყოფის მკურნალობა, როგორიცაა იგი. ეშინია, რომ გამოცდა შეიძლება კატასტროფული შედეგით დამთავრდეს არა მარტო კედროვისათვის, არამედ ექიმის კვლევითი სამუშაოსათვისაც. კედროვი შეიძლება გარდაიცვალოს, მაშინ მასთან ერთად დაიმარხება ამ ავადმყოფობის წყალტუბოში

მკურნალობის იდეაც. მაშინ კირტავაშვილი სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს თავის საყვარელ საქმეს.

კედროვმა ნაღვლიანად გაიღიმა. ბედმა მას პირისპირ შეახვედრა ადამიანს, რომელსაც აწუხებს წინააღმდეგობა, რომლის მსგავსი მასაც ტანჯავდა რამდენიმე ხნის წინათ.

რის თქმა შეეძლო ავადმყოფს? თხოვოს შეუნარჩუნოს მას ფეხი? ეჭვის ქვეშ დააყენოს იდეა, რომელიც წლობით არის ნატარები? კედროვი მოიბუზა, მას შერცხვა საკუთარი აზრების. განა თვითონ მას სულ ახლახან არ ეშინოდა სითხის ხელოვნური ხრახნული დინების იდეის დისკრეტიზაციის?!. გაიაზრა რა მაშინ ეს საშიშროება, ფაქტიურად დაეთანხმა ველიხოვს არ გასულიყვნენ ჯერ მდინარეზე. მემდინარეები მოითმენენ, რისკის გაწევა არ ღირდა! ანალოგია ნათელია, — კედროვმაც უნდა მოითმინოს, სანამ კირტავაშვილის იდეა არ იქნება მთლიანად დასაბუთებული.

კედროვის დიდრონ ჭრელ თვალებში გამოსჭვივოდა ნაღველი. სერგეი ივანეს ძემ გაიფიქრა, ხვალვე მისწეროს გალინას და საიპიანს სასწრაფოდ დააჩქარონ მდინარეზე გამოცდები.

კირტავაშვილს კი მოეჩვენა, რომ ავადმყოფს იგი ეცოდება, რადგან შეამჩნია სიმხდალე. მას შერცხვა ამ ანთებული თვალების. ამბროსი იაკობის ძეს მოუნდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ვაკაცურად გადაეტანა არაადამიანური განცდები.

— ვუმკურნალებთ, — წარმოსთქვა კირტავაშვილმა და ხელი სტაცა მთავარ ექიმს, თითქოს სურდა შეეკავებინა იგი მოუფიქრებელი ოპერაციისაგან.

— უგნურობაა, მოკვდება და შენ დაგადანაშაულებენ მის სიკვდილში, — წამოიძახა ქართულად მთავარმა ექიმმა და ხელი გამოსტაცა.

— დღეს მე მოვისმინე ანეკდოტი, გინდათ გიამბოთ? — ამბროსი იაკობის ძემ მიმოავლო იქ მყოფთ ამობურცული, გაღიმებული თვალები, — მაშ მომისმინეთ! თურქეთიდან მორბოდა თურმე ბებერი, ბეწვგაცლილი კურდღელი. რა თქმა უნდა, საბჭოთა საზღვარზე დაეკავეს. „საით მირბიხარ? — ეკითხებიან, — ასე ხომ შეიძლება გული გაგისკდეს!“ — კურდღელმა უპასუხა: „თურქეთის სულთანს უბრძანებია, ყველა აქლემი დაჭედეთო!“ — „მერე შენ რა?“ — დაინტერესდნენ მესაზღვრეები. კურდღელმა უპასუხა: „დაგჭედენ და მერე უმტკიცე, რომ შენ აქლემი არა ხარ!“

— კარგია! — ყველასთვის მოულოდნელად წამოიძახა კედროვმა და ისე გადაიხარხარა, როგორც ავადმყოფობამდე იცოდა.

ქალებმა თავშეკავებულად გაიღიმეს, მთავარი ექიმი კი შეიჭმუხნა. ყველანი

წავიდნენ, სერგეი ივანეს ძე მარტო დარჩა. აზრი იმის შესახებ, რომ მან უარი თქვა მდინარეზე ცდების ჩატარებაზე, რითაც მფრთხალი კურდღლის როლში აღმოჩნდა, ტვინს უხვრეტდა. გუნებაში, რაღაც შურის მაგვარმა გაუელვა კირტავაშვილის მიმართ, რომელმაც ასე გაბედულად სძლია თავის მოკრძალებას. კედროვს მოუნდა, რაც შეიძლება მალე წამომდგარიყო ფეხზე იმის ხათრით, რომ გაეგრძელებინა სიცოცხლე, თავისი საქმიანობა და კიდევ იმისათვის, რომ კირტავაშვილი თავის გამოკვლევებით გამარჯვებული ეხილა.

სარკმელთან ქარი არხევდა ბროწეულის ბუჩქს. ცეცხლოვანი ყვავილები ხან იმალებოდნენ ხშირ ფოთლებში, ხანაც იჭყიტებოდნენ ფანჯარაში, თითქოს იტყუებდნენ თავიანთი სიქორფით ავადმყოფს. კედროვს ისინი სხვა შორეული, მიუწვდომელი სამყაროს მახარობლად ეჩვენებოდა. მას მოუნდა ბაგეებით შეხებოდა ყვავილებს. დარდი, რომელიც აწვებოდა და თრგუნავდა მას ლენინგრადში, უკვე მოეშორებინა. მეორე დღეს კედროვი საბაზანოში მიიყვანეს. სანიტარმა ხელში ატატებული შეიყვანა დარბაზში, რომელშიც აუზი იყო ჩაშენებული და წყალში ჩასვა. სერგეი ივანეს ძემ ირგვლივ მიმოავლო თვალი. მაღალი ჭერი, კედლებზე ქართული ორნამენტები, თეთრი ფილებით ამოგებული აუზი, რომელშიც ნაკადად შემოედინებოდა გამჭვირვალე თბილი წყალი. წყლის ზედპირზე გაზის ბუშტუკები ამოდიოდა და იქვე სკდებოდა, რის გამოც გეგონებოდათ წყალი დუღსო.

გვერდით, მომსახურეობის სათავსოდან შემოვიდა კირტავაშვილი.

— ღელავს, — გაიფიქრა კედროვმა. გამოჯანმრთელების სურვილი და რწმენა უკვე გუშინ ჩაუნერგა მას ექიმმა და ამ რწმენას უკვე ვერაფერი ვერ შეარყევდა.

— გამარჯობა, გენაცვალე! — მიესალმა კედროვი კირტავაშვილს

— გაგიმარჯოს! — გაკვირვებით უპასუხა ექიმმა, — ნუთუ თქვენ ქართული ენა იცით?

— ჯერჯერობით ჩემი ცოდნა ორი სიტყვით შემოიფარგლება. ერთი თვის შემდეგ კი მე ვფიქრობ ჩემი ლექსიკონი საგრძნობლად შეივსება.

— აღვნიშნოთ, რომ ქართული ენის შესწავლაში თქვენ გაქვთ მიღწევები. როგორ გრძნობთ თავს?

— ამ ღვთიურ წყალში — შესანიშნავად. ტკივილები ფეხის არეში თითქმის ჩაწყნარდა.

— განკუთვნილი ოცი წუთი ამოიწურა. ახლა თქვენთვის საჭიროა დასვენება, შემდეგ კი კვლავ მიიღებთ აბაზანას.

სანიტრებმა ავადმყოფი გადაიყვანეს დასასვენებელ ოთახში, დააწვინეს ტახტზე და შალის საბნით დათბუნეს. დაღლილობამ და მოთენთილობამ იმოქმედა და მან ჩათვლიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირტავაშვილი კედროვთან მივიდა, დაიხარა და რაღაც შეეკითხა. სერგეი ივანეს ძე თვალების გახელის გარეშე შეიჭმუხნა, არ უნდოდა მას ფიქრებიდან გამოსვლა.

ექიმმა დაუწყო მას სისხლის წნევის გაზომვა.

ავადმყოფი ნელ-ნელა გამოფხიზლდა და იგრძნო, რომ ფეხის ტკივილი მატულობდა. კედროვი წყენით შეეკითხა:

— რატომ არის, რომ ჯანმრთელი ძლიერი ადამიანები ცდილობენ დროზე ადრე უფრო სოლიდურად გამოიყურებოდნენ? რატომ გაურბიან ისინი, თუ რცხვენიათ იმღერონ, იცინონ ან იცეკვონ.

— ეს ჩვენგან ქართველებისაგან უნდა ისწავლონ, ჩვენ კარგად ვიცით ახალგაზრდობის ფასი, — მხიარულად უპასუხა ამბროსი იაკობის ძემ, მართავდა რა თავის აპარატს.

ექვსი აბაზანის შემდეგ კედროვმა დაიწყო ძილი საძილე საშუალებების გარეშე.

კირტავაშვილი აწარმოებდა გულმოდგინე დაკვირებას. მიღებული მონაცემები მთლიანად ამტკიცებდნენ მის თეორიულ მოსაზრებებს, რის გამოც ექიმიც და ავადმყოფიც დიდ სიხარულს განიცდიდნენ.

კედროვს გასეირნების ნება დართეს. სანიტარი, მზისაგან გარუჯული მაღალი ქართველი მამაკაცი, დიდი კეხიანი ცხვირით, როგორიც სერგეი ივანეს ძეს აქამდე არასდროს ენახა, მის ეტლს ასფალტირებულ გზაზე მიაგორებდა. ავადმყოფი კმაყოფილებით ათვალიერებდა გარემოს. წრიული გზის მაღლა ფერდობებზე ჩამწკრივებულან ხუთ და ექვს სართულიანი სასახლე-სანატორიუმები, მრავალი აივნებით. მათ გარშემო ეზო შემოღობილია მაღალი რკინის ღობით, რომლის შიგნით გაშენებულია პარკები. მარჯვნივ, გზიდან ქვემოთ, კურორტ ქალაქის გასწვრივ ჩაუდის ბეტონით ამოპირკეთებული არხი, რომელიც თავის კალაპოტში აქცევს წვიმების დროს შემაღლებულ ფერდობებიდან ჩამონადენ წყალს და დაჭაობებისგან იცავს დაბლობს, რომელზეც განლაგებულია გამაჯანსაღებელი წყაროები. სერგეი ივანეს ძე ესიყვარულებოდა თაღოვან ხიდებს, რომლებიც არხზე აქა-იქ გადაკიდებულიყო. ისინი მართლაც, ისე ალამაზებენ არხს, როგორც ლამაზი უნაგირი და მოსართავი ბედაურს. ყველა ხიდით პარკში შეიძლება შესვლა სადაც სააბაზანოებია აგებული.

სანიტარმა კედროვი ერთ-ერთი კუზიანი ხიდით პარკში შეიყვანა. აქ ხალათებში და პიჟამებში გამოწყობილი ბევრი ავადმყოფი იყო. ისინი მოხერხებულ გრძელ სკამებზე ისხდნენ, რომლებიც განლაგებული იყო რცხილის, ფიჭვის, აკაციის და მაგნოლიის ჩრდილების ქვეშ. ავადმყოფები აბაზანის ძიღებას ელოდებოდნენ ან მისი მიღების შემდეგ ისვენებდნენ.

თვალს ახარებდა ყვავილების მწკრივი, რომელთა შორის ფუშფუშა პეტუნიები, ვარდისფერი ლევკონიები და ბევრი კაშკაშა წითელი, ღია ვარდისფერი, თეთრი და ყვითელი ვარდები ჰყვაოდნენ. პარკში ჰაერი ამ ყვავილების სურნელით იყო გაჟღენთილი.

სანიტარმა ეტლი ნაძვის ჩრდილქვეშ გააჩერა, თვითონ კი ხელები ჯიბეში ჩაიწყო და მოპირდაპირე მხარეს სკამზე ჩამოჯდა.

— თავი ხომ არ გტკივა? — როგორღაც უცნაურად შეეკითხა სანიტარი.

— არა, პირიქით, მე მსიამოვნებს აქ ყოფნა, — უპასუხა კედროვმა და ღრმად ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი. იგი ხომ პირველად სეირნობდა უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში.

— წავიდეთ სახლში — წინააღმდეგობის დაუშვებლობის ტონით თქვა სანიტარმა და სკამიდან ადგა.

— მოდით, კიდევ გავისეირნოთ! — ჩაილაპარაკა ავადმყოფმა, მაგრამ სანიტარმა ყური არ ათხოვა და ეტლი სწრაფად გააგორა.

საწოლში კედროვმა იგრძნო, რომ სხეული ეწოდა. გაუზომეს სიცხე — ოცდათვრამეტი და ცხრა ხაზი აღმოაჩნდა.

— აი ეს კი ოინია — რა უნდა ვქნა? — შეეკითხა იგი მედდას.

— ექიმს დავუძახებ — უპასუხა მედდამ და სწრაფად გავიდა.

გამოჯანმრთელების რწმენა კედროვს იმდენად ძლიერი ჰქონდა, რომ იგი სულიერად არ დაეცა. პირიქით, რომ გაიგო მაღალი სიცხე მაქვსო, ეცადა შეენარჩუნებინა გასეირნების დროს მიღებული ხასიათის სიმტკიცე. სინამდვილეში კი მდგომარეობა შემაშფოთებელი იყო. სიცხე სწრაფად მატულობდა.

კედროვს ბოდვა დაეწყებინა. მას ეჩვენებოდა, რომ რაღაც თოჯინა საშინელი სახით და ხელებით, რომლებიც ტანთან შედარებით გაცილებით დიდი ჰქონდა, ნელა უახლოვდებოდა მის საწოლს და უძრავი თვალებით სახეში ჩასცქეროდა. სერგეი ივანეს ძეს უნდოდა დამალულიყო საბნის ქვეშ, მაგრამ თოჯინამ მას თავისი დიდი ხელი დააფარა და დაუწყო თითებით ნელა მოჭერა. კედროვი კაწრავდა, კბენდა, საზიზღარ რბილ ხელისგულს, ჰაერი არ ყოფნიდა, დაძაბვისა და ბრაზისაგან, მაგრამ მოჩვენების თითები სულ მეტად უჭერდნენ. როდესაც კედროვის სხეული შებოჭილი შეიქნა, მაშინ თოჯინამ მას მეორე

ხელით დაუწყო ობობის ქსელის დახვევა. წვრილი ძაფები სხეულზე, პირზე, თვალებზე და ყურებზე ეწებებოდა. კედროვი ძალას კარგავდა, ცდილობდა განთავისუფლებულიყო ქსელისაგან, მაგრამ თოჯინას ხელები ისე სწრაფად მუშაობდნენ, რომ მალე მიხვდა უსარგებლო იყო წინააღმდეგობის გაწევა.

წებოვან ქსელში შებოჭილი სერგეი ივანეს ძე თავს ისე გრძნობდა, როგორც აბრეშუმის ჭია პარკში. იღბლად დარჩენილ პატარა ჭუჭრუტანაში იგი ჭვრეტდა საკვირველებას, რომელიც კმაყოფილებით იწმენდდა მწვანე ქსოვილისმაგვარ ხელებს. დაჟინებით უყურებდა რა თოჯინას სახეში, კედროვმა უცებ მასში ვიღაც ნაცნობი შეიცნო. იგივე მწვანე გახუნებული თვალები, იგივე ტუჩები, იგივე კეხიანი ცხვირი!... მაგრამ რატომაა, რომ ეს ნაცნობი ნაკვთები ასე საზიზღრად და საშინლად ეჩვენება? სხვათაშორის, ეს ახლა არ არის მნიშვნელოვანი, მთავარია, უნდა გაიგოს, რატომ შებოჭეს იგი ქსელით.

როდესაც კირტავაშვილს შეატყობინეს ავადმყოფის მდგომარეობა, მან მიატოვა ყველაფერი და კედროვთან მოვიდა.

პალატაში უკვე ოთხი ექიმი იმყოფებოდა, მათ შორის მთავარი ექიმიც. ყველანი კითხვის თვალით უყურებდნენ კირტავაშვილს. პირველი სიტყვა, როგორც მკურნალ ექიმს მას ეკუთნოდა. იგი კი უყურებდა სიცხიან, მბორგავ ავადმყოფს და დაძაბული ფიქრობდა, რა ელონა.

კედროვმა ბოდვაში ამოიოხრა.

— მოგვიწევს მივიღოთ უკიდურესი ზომები! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ამბროსი იაკობის ძემ. მან ახლა, როგორც არასდროს, იგრძნო თუ რა უზარმაზარ მორალურ პასუხისმგებლობას იღებს ექიმი ავადმყოფის მკურნალობის დროს. შეიძლება დათმო რაც გინდა მეცნიერების სათრით, შენი რწმენის სათრით, მაგრამ ადამიანის სიცოცხლე არავითარ შემთხვევაში.

ტერასაზე გამოვიდა მთავარი ექიმი და კირტავაშვილს მხარზე დაადო ხელი.

— ეს არის შენი საბოლოო გადაწყვეტილება? — შეეკითხა ის ჩუმად.

— კი უნდა წავიყვანოთ საავადმყოფოში და გავუკეთოთ ოპერაცია.

— ვერ გაუძლეს სისხლძარღვებმა?

ამ კითხვისაგან კირტავაშვილს შეახურა. იგი შემობრუნდა და თავისი მრგვალი თვალებით ჩააშტერდა ოდნავ მომღიმარ მთავარ ექიმს.

— შენ რა, დამცინი? — იფეთქა მან და ბრაზისაგან თავი ძლივს შეიკავა.

— რისთვის, ახლა არ არის სიცილის დრო. ჩვენ, ოთხივე ექიმმა მოვისმინეთ შენი მოსაზრება და არ ვეთანხმებით მას.

— არ მესმის?

— ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ თავი შევიკავოთ ფეხის მოკვეთაზე.

— და თქვენი სიმართლის დასამტკიცებლად გინდათ ავადმყოფის სიცოცხლე შეიწიროთ? — ვეღარ შეიკავა თავი კირტავაშვილმა.

— შენ ცუდი ექიმი ყოფილხარ, თუ ასე ფიქრობ.

— ბოდიში, მე არ მესმის, რას ვლაპარაკობ, — კირტავაშვილმა შეაჩერა მთავარი ექიმი, რომელიც უკვე წასვლას აპირებდა — ამიხსენი, რისი იმედი გაქვს.

— მე ვირწმუნე შენი იდეა, ამბროსი, — ჩაილაპარაკა მთავარმა ექიმმა მცირედი დაფიქრების შემდეგ, — წყალტუბოს წყლებით შეიძლება და კიდევაც უნდა უმკურნალოთ ამ დაავადებას. თორმეტმა აბაზანამ საკვირველება მოახდინა. ავადმყოფს მოუხსნა ტკივილი კიდურებში, დაუბრუნა ძილი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ორგანიზმის საერთო მდგომარეობა.

— მაგრამ, — შეაწყვეტინა მას კირტავაშვილმა

— შენ გინდა თქვა, რომ ახლა დადგა გაუარესება? რატომ მოხდა გაუარესება?

— ეს ნათელია, გამწვავებაა, — უპასუხა კირტავაშვილმა.

— სწორია. მოხდა გარდუვალი გამწვავება, რომელსაც შენ ხვდებოდი თითქმის ყველა ავადმყოფის მკურნალობის დროს, მხოლოდ მსუბუქად დაავადებულებში, ეს გამწვავება მიმდინარეობდა შედარებით იოლად, ხოლო მძიმე ავადმყოფების მკურნალობის დროს, როგორც კიდევაც ხედავ, მიმდინარეობს მაღალი სიცხის თანხლებით.

— როგორმე ეს გართულება არ უნდა დამთავრდეს კატასტროფით. შენ კარგად შეისწავლე მუქი ლაქა ფეხის გულზე? — წუხილით იკითხა ამბროსი იაკობის ძემ.

— აქ უთუოდ აქვს ადგილი ორგანიზმის მოწამვლას, მაგრამ მე ვფიქრობ, მასთან შეიძლება გამკლავება. მე უკვე მივეცი მითითება გაუკეთდეს პენიცილინი. დავაკვირდეთ, ერთი ორი საათის შემდეგ შეიძლება საჭირო იქნეს ადგილობრივი გაკვეთა, შემდეგ კი ვნახოთ. მთავარია ნუ აღელდები და ნუ გაიმტყუნებ თავს იმაში, რაშიც შენ უცოდველი ხარ. შენმა მკურნალობის მეთოდმა გააკეთა სასარგებლო საქმე. ავადმყოფი ამასობაში მომჯობინდა. აი მოწამვლა რომ მომხდარიყო პირველ დღეებში, მაშინ მე არ დავიწყებდი მკურნალობას. შენ ხომ იცი, როგორ დაჟინებით მოვითხოვდი მე სასწრაფო ოპერაციას. ახლა კი...

— წავიდეთ მასთან, — თქვა კირტავაშვილმა და მაგრად ჩამოართვა ხელი მთავარ ექიმს.

სიცხიანი ავადმყოფი ბორგავდა, ხელებს იქნევდა, რაღაცას ლაპარაკობდა, კვნესოდა ან უმიზეზოდ იცინოდა.

— ეს, ძმაო ფსიქიური შეტევაა, მაგრამ უნდა გამაგრდე, — ეცადე, მშვიდად

იყო, — წარმოთქვა მთავარმა ექიმმა წყნარად, მაგრამ მას მთლიანად არ შეეძლო დაემალა თავისი მღელვარება.

მისი წასვლის შემდეგ კირტავაშვილმა ერთხელ კიდევ დაკვირვებით გასინჯა კედროვი.

კვალიფიციური მედდა იყო მისი უსიტყვო მომხმარე, ავადმყოფს ნემსს უკეთებდა, წამალს ასმევდა. ამბროსი იაკობის ძე ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებს აკვირდებოდა. იწყებოდა კრიზისი — გადამწყვეტი მომენტი. ვინვის? სიკვდილი თუ სიცოცხლე.

ყოველივე ცხოვრებისეული ამ წუთში, ავადმყოფისაგანაც და ექიმისაგანაც გამოყოფილი იყო ღამის ფარდებით და გეგონებოდათ, რომ ისინი არასოდეს არ გაიხსნებოდა, მაგრამ აი ფანტასტიკურ ხავერდოვან ღამის წყვდიადმა იწყო თენება, უწონადობის შეძენა და მის გადაღმა საღებავის გაფერმკრთალებით დაიწყო გამოჩენა დათოვლილმა მთებმა. დადგა ის განსაკუთრებული დრო, როცა ბულბულიც კი ჩუმდება განთიადის დადგომის წინ.

კირტავაშვილი ხელიდან არ უშვებდა ავადმყოფის მაჯას, თითქოს ამით აგრძნობინებდა მას, რომ იგი ამ მძიმე წუთებში მარტო არ არის. უეცრად ექიმმა დამაჯერებლად იგრძნო პულსის ძლიერი ბიძგი. მას გაუხარდა. დარტყმები გახშირდა და მაშინ მიხვდა ამბროსი იაკობის ძე, რომ იგი გრძნობდა თავის გულისცემას. ავადმყოფის მაჯისცემა გაქრა.

— ქაფური, ჟანგბადი! — დაიძახა ექიმმა.

მედდას ყველაფერი მზად ჰქონდა. კირტავაშვილი ფერწასული კანკალით, კედროვის ფართო მკერდზე დაყრდნობით, ისმენდა სიგნალებს.

სიჩუმეა...

მაგრამ, აი, სადღაც სიღრმიდან მოისმა სუსტი დარტყმები და ავადმყოფის მკერდში ყველაფერი შეინძრა.

კირტავაშვილი მძიმედ ადგა.

ჩიტები ამ დილას მხიარული ჟრიამულით შეხვდნენ. სწრაფი მერცხალი შეცდომით თუ ცნობისმოყვარეობის გამო შემოფრინდა ოთახში, მარყუჟი გააკეთა და წრიპინით უკანვე გაფრინდა.

— დამთავრდა, კრიზისმა გაიარა, აწი კედროვი ჩვენია, ის იცოცხლებს და ივლის თავისი ფეხით, — გაიღიმა გახარემულმა მედდამ.

სანატორიუმიდან იმ ღამეს მთავარი ექიმიც არ წასულა. დერეფანში იგი შეხვდა ამბროსი იაკობის ძეს. მამაკაცები უხმოდ გადაეხვივნენ ერთმანეთს. მათ არ მოეპოვებოდათ სიტყვები, რომ გამოეხატათ ერთმანეთისათვის განცდილი სიხარული.

„ბალნეოლოგია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სწავლებას აბაზანების შესახებ, ბალნეოთერაპია კი აბაზანებით მკურნალობას გამოხატავს.

შუა საუკუნეებში საფრანგეთში ვხვდებით ლერშეს მიერ მოწოდებულ ტერმინს „პეგოლოგიას“, ესე იგი აბაზანებზე სწავლებას, ხოლო უფრო გვიან ფრანგულ სამედიცინო ლიტერატურაში გაჩნდა ტერმინი „კრენოლოგია“, რაც ნიშნავს მინერალური წყლებით მკურნალობას. საერთოდ, ბალნეოლოგიის ქვეშ გულისხმობენ აბაზანებით მკურნალობისათვის განკუთვნილ ადგილს, სადაც გარდა მინერალური წყლებისა, აუცილებელია სხვა დამხმარე ფაქტორების არსებობა.

მედიცინის ისტორიიდან ცნობილია, რომ აბაზანებით სარგებლობდნენ ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები. მიუხედავად ამისა, ბალნეოლოგია სადღეისოდ მედიცინის ახალგაზრდა დარგად ითვლება.

ერთ-ერთ უძველეს ინდურ წიგნში „აიურ ვედა“ („ცხოვრების წიგნი“) მოთხრობილია მდინარე განგაში ბანაობის სარგებლიანობაზე. თალმუდის მიერ დაკანონებული იყო ბანაობა, როგორც რელიგიური წესების გამმაგრებელი და მრავალ დაავადებათა განმკურნებელი საშუალება. მსგავსი შეხედულება ჰქონდათ წყალში ბანაობაზე აგრეთვე ძველ ებრაელებს.

ბერძენი ფილოსოფოსი ჰიპოკრატე, რომელმაც საწყისი მისცა მეცნიერულ მედიცინას, აბაზანებით მკურნალობას მაინცადამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მაგრამ ზოგჯერ (ფილტვების ანთების დროს) იგი ავადმყოფებს უნიშნავდა თბილ აბაზანებს, რომელიც მისი აზრით აჩქარებდა განკურნების პროცესს.

ბალნეოლოგია, როგორც მედიცინის დარგი, ძალზე ნელი ტემპით ვითარდებოდა. ასე რომ, თუ პირველი საუკუნის დასაწყისში ნერონის ცოლი ყოველდღიურად ღებულობდა სახედრის რძის აბაზანებს, იგივე პროცედურის სარგებლიანობაზე ბევრად უფრო გვიან – 1888 წელს მიუთითებდა თავის წიგნში ექიმი ნიკიტინი. მისი აზრით, ამ გზით ორგანიზმი კანის საშუალებით ღებულობდა საჭირო საკვებს კუჭ-ნაწლავის გადაუტვირთავად.

ჩვენი არც თუ ისე ადრეული წინაპრები ნაცვლად იმისა, რომ ღრმად შეესწავლათ ადამიანის ორგანიზმზე მინერალური წყლების მოქმედების მექანიზმი, ამ საქმეში ათასნაირი დაბნეულობა შეჰქონდათ. მაგალითად, ბრინევსკი აუფასურებდა მინერალური წყლების მნიშვნელობას.

ადგილზე მომუშავე ექიმები ავადმყოფობის ისტორიებში ხოტბას ასხამდნენ კურორტულ ფაქტორებს, ათასნაირ სასწაულებს მიაწერდნენ მას.

მეოცე საუკუნეში პოდგურსკის მაცესტის წყლების სასწაულმოქმედების

დამადასტურებლად მოჰყავს შემდეგი ფაქტი: ვინმე ჩ. რომელიც ოთხი თვის ორსული იყო და წყაროსთან ახლოს ცხოვრობდა, ძლიერ შეწუხებული ყოფილა გემორეოთ. და აი, ქალს ორჯერ მიუღია 35 გრადუსიანი თბილი წყლის აბაზანა, რის შემდეგ ტკივილები დაყუჩებია. სწორედ ასეთ ზერელე დასკვნებს მოჰყვა მკაცრი კრიტიკა მედიცინისა, კერძოდ კი ბალნეოლოგიისა.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან იწყება მეცნიერული ბალნეოლოგიის შექმნა. 1913 წელს ორასი ათასმა კაცმა იმკურნალა კურორტებზე. ამავე წელს წყალტუბოს წყლებით ისარგებლა 20 ათასმა ავადმყოფმა.

ურიგო არ იქნება, თუ მოკლედ შევეხებით ბალნეოლოგიურ კურორტ წყალტუბოს განვითარების ისტორიას.

მკვლევარების აზრით, წყალტუბოს ამ სახელწოდებით იცნობდნენ ჯერ კიდევ მერვე საუკუნიდან. კურორტის ბალნეოლოგიური რესურსები ძალზე დიდია. დებეტის მხრივ მას სადღეისოდ ტოლი არა ჰყავს.

საგულისხმოა, რომ 1913 წელს წყალტუბომ, რომელიც ძალზე პრიმიტიულად იყო მოწყობილი, 20 ათასამდე ავადმყოფი გაატარა. და ეს მაშინ, როცა იმ ხანად რუსეთში პოპულარული კურორტი — მინერალური წყლები იმავე პერიოდში ამდენივე ავადმყოფს მოემსახურა.

კურორტის მეცნიერული შესწავლა დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. ბალნეოლოგიური ზონა და მისი მომიჯნავე ტერიტორია გადავიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გამგეობაში. აქედან მოყოლებული, დაიწყო სააბაზანოების მშენებლობა. 1922 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა №1 და №4 სააბაზანოები, რომლებიც რეკონსტრუირებული იქნენ 1954 წელს. 1926 წელს კურორტს შეემატა №2 სააბაზანო, ხოლო ორი წლის შემდეგ — №3 სააბაზანო.

1932 წელს წყალტუბოს ჰიდროლოგიური რესურსების ღრმად შესწავლის შემდეგ მთავრობამ დიდძალი თანხები გამოჰყო კურორტის მშენებლობა — გაფართოებისათვის. 1935 წელს ექსპლოატაციაში შევიდა №7 სააბაზანო, 1938 წელს — №5, 1951 წელს — №6, ხოლო 1959 წელს — №8 სააბაზანო.

ამრიგად, წყალტუბოში 1930 წელს თუ მოქმედებდა ოთხი სააბაზანო, რომელთა გამტარუნარიანობა საათში 196 პროცედურას აღწევდა, დღეისათვის აბაზანების გამტარუნარიანობა საათში უდრის 548 ბალნეოპროცედურას.“

ა. კირტავა
გაზეთი „ახალი წყალტუბო“
1960 წ. 15 ივნისი.

ეროვნული

ა. კირტავას მუშაობის წესი იყო ადრე დილიდან გვიან საღამომდე. ყველა სამსახურების შემოვლა. წესრიგის, სისუფთავის, დაკისრებული მოვალეობის უცილობელი შესრულების მკაცრი მოთხოვნა, რის მაგალითსაც, პირველ რიგში თვითონვე იძლეოდა.

სწორედ ეს იყო ის იარაღი, რომელიც სხვებსაც უბიძგებდა ასე მოქცეულიყვნენ.

მეორეს მხრივ, იცოდა მან თანამშრომლების წახალისება, თანადგომა, დაცვაც და მოფერებაც; რისთვისაც თვითონაც იმსახურებდა მათგან მორიდებას, პატივისცემას და ბევრისაგან სიყვარულსაც.

ბალნეო და პოლიკლინიკური გაერთიანების სამსახურის ხელში გაივლიდა თითქმის ყოველი დამსვენებელი, რომელიც წყალტუბოში სამკურნალოდ ჩამოვიდოდა. ისინიც კი, რომლებიც სანატორიუმების კონტიგენტს წარმოადგენდნენ, მკურნალობის მხრივ მაინც მათ ეკუთნოდნენ. დამსვენებელთა რაოდენობა 1948 წელს 28 ათასს უდრიდა, ხოლო 1970 წელს, 100 ათასს მიაღწია.

ასეთი დიდი ოდენობით დამსვენებელთა გატარება ისე, რომ ყველა კმაყოფილი ყოლოდათ, ერთობ რთული საქმე იყო. როგორ აღწევდნენ ამას, ნათლად სჩანს თუ თვალს გადავავლებთ იმდროინდელ გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებს:

სწორუპოვარი წყაროები

„1944 წლიდან მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ. ჩემი ავადმყოფობა რევმატიზმია. შვიდი წლის მანძილზე სისტემატურად ვმკურნალობდი სხვადასხვა საშუალებებით, მაგრამ არაფერმა არ მიშველა, ტკივილები თანდათან მიძლიერდებოდა; ისე დავიკუტე, რომ სიარული აღარ შემეძლო. მორჩენის იმედი თითქმის აღარ მქონდა როდესაც წყალტუბოში ჩამოვედი. წყალტუბოს „სასწაულმოქმედი" წყაროების შესახებ გაგონილი მქონდა, მაგრამ ბევრი არ მჯეროდა და მაინც ვცადე.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ოთხი-ხუთი აბაზანის მიღების შემდეგ, პირველად ვიგრძენი შვება; ვამჩნევდი, რომ ძალა მიბრუნდებოდა, ავიდგი ფეხი; ტკივილებმაც შესამჩნევად მიკლო. ყველაფერი ეს მარათლაც „სასწაულს" ჰგავს. ულმობელი სენი — რევმატიზმი სამიოდე კვირის განმავლობაში თითქმის მთლიანად დათრგუნა მიწიდან ამომჩქეფარე ბუნებრივად

თბილმა წყალმა და მკურნალი ექიმების მზრუნველობამ. მე ახლა უკვარ ჯნოდ დავდივარ...

წყალტუბოს საპატიო ადგილი უჭირავს ჯანმრთელობის დაცვის საგანძურში. მისი სიცოცხლის მომნიჭებელი წყაროები სწორუპოვარია მთელ მსოფლიოში. ვტოვებ რა ამ წარმტაც კურორტს, ჩემში მარად წარუშლელი იქნება აქ მიღებული შთაბეჭდილება. განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო №6 საბაზანოს მთავარი ექიმის ა.კირტავას სამაგალითო გულისხმიერება და სამსახურებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულება. ამბროსი იაკობის ძე მზრუნველობას იჩენს თითოეული ავადმყოფის მიმართ. მისგან ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ სამედიცინო დარგის ახალგაზრდა მუშაკებს".

დამსვენებელი ი.ფ. შიმაისკი.
გაზეთი „ახალი წყალტუბო"
1952 წ. 25 მაისი.

დამსვენებელთა მადლობა

„სიწყნარე, სისუფთავე, წესრიგი დიდად უწყობს ხელს ავადმყოფის სწრაფად გამოჯანსაღებას. ეს კარგად აქვთ შეგნებული №6 საბაზნოს მუშა-მოსამსახურეებს და სამედიცინო პერსონალს. დასახელებული საბაზანო კურორტში ყველაზე დიდი სამკურნალო დაწესებულებაა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ აქ სანიმუშოდ დგას ავადმყოფთა მომსახურეობის საქმე."

დამსვენებლები: ნ. ციციშვილი,
გ. მაღლაკელიძე, მ. ბინიაშვილი,
ე. ჩაჩავა და თ. ციცქიშვილი
გაზეთი „ახალი წყალტუბო"
1954 წ. 6 ივნისი.

საბაზანოს კოლექტივის წარმატება

„მიმდინარე წელს კურორტზე გაცილებით მეტი ავადმყოფ-დამსვენებელი ჩამოვიდა, ვიდრე 1956 წელს. საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილებანი საბაზანოებისადმი.

უკეთესად დააყენეს მუშაობა მეექვსე საბაზანოში (მთავარი ექიმი ა.კირტავა).

სააბაზანოს მუშაკებმა — უფროსმა ექთანმა თამარ როინიშვილმა; ექთნებმა — მერი ბოჭორიშვილმა, მათიკო იოსელიანმა და ლუბა ჩიხლაძემ; მეთოდისტებმა — თენგიზ კოხრეიძემ, მარინა ოგანეზოვამ; ექიმებმა — ოთარ ფრუიძემ, ნოე ჯოხაძემ, რეზო ჩილაჩავამ და სხვებმა."

გაზეთი „ახალი წყალტუბო" 1957 წ. 15 დეკემბერი

გაზეთ „ახალი წყალტუბოს" 1957 წლის 15 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, თენგიზ კარტოზიას წერილი ***„საყურადღებო ნაშრომი"***, რომელსაც ვბეჭდავთ შემოკლებით.

„მაობლიტერებელი ენდარტერიიტი საკმაოდ მძიმე და გავრცელებული დაავადებაა. იგი ძირითადად აზიანებს მამაკაცებს და უმეტეს შემთხვევაში აინვალიდებს, შრომის უნარიანობით ყველაზე ნაყოფიერ პერიოდში.

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მაობლიტერებელი ენდარტერიიტი ორგანიზმის ზოგადი დაავადებაა და იძლევა სიკვდილიანობის მნიშვნელოვან პროცენტს, მაშინ კიდევ უფრო გასაგები იქნება ის დიდი ინტერესი, რასაც ხსენებული პრობლემის ყოველმხრივი შესწავლა იმსახურებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ მაობლიტერებელი ენდარტერიიტის ეთიოპათოგენეზი დღემდე სრულყოფილად უცნობია, პრაქტიკულ მედიცინას არ გააჩნია არათუ ეთიოტროპული, არამედ პათოგენეზური მკურნალობის ეფექტური მეთოდები.

ზემოდხსენებული დაავადების სამკურნალო არსენალში დღემდე არსებულ მეთოდთა შორის არაოპერაციულ მეთოდებს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია, რომელთა შორის ბალნეომკურნალობამ ამ ბოლო ხანებში მედიკოსთა საერთო აღიარება ჰპოვა. ეს განსაკუთრებით ითქმის დაავადების სპაზმატურ ფორმებზე, მის დაწყებით სტადიაზე.

სწორედ ამ ფრიად აქტუალური საკითხის შესწავლას მიეძღვნა ექიმ ა.ი. კირტავას მონოგრაფიული ნაშრომი: „მაობლიტერებელი ენდატერიიტით დაავადებულთა წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობის საკითხისათვის."

ავტორმა წლების მანძილზე მეცნიერულად შეისწავლა მაობლიტერებელი ენდარტერიიტის წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობის საკითხები და ჭეშმარიტების შუქი მოჰფინა ჩვენს კურორტზე მის სამკურნალო ჩვენებასა და უკუჩვენებას.

ექიმ ა.ი. კირტავას დაკვირვება მოიცავს 6-7 წლის პერიოდს და ითვლის

რამდენიმე ათას შემთხვევას, რომელთა ნაწილი დახვეწილ და განზოგადებულ იქნა ზემოხსენებული მონოგრაფიული ნაშრომის სახით.

ავტორი ვრცლად ეხება დაავადების ეთიოლოგიისა და პათოგენეზის საკითხს; იგი შედარებით ფართოდ ასახელებს სამამულო და უცხოურ ავტორთა შრომებს, რომლებიც გარკვეულ ინტერესს იმსახურებენ აღნიშნული საკითხის შესწავლის მხრივ.

დაავადების განვითარებაში სამართლიანად ესმება ხაზი ნერვული სისტემის ფუნქციური მდგომარეობის თავისებურ მოშლას, ალკოჰოლური და ნიკოტინით ხანგრძლივი ინტოკსიკაციისა და დაბალი ტემპერატურის მოქმედების ფონზე.

მეორე თავში, ავტორი საკმაოდ ფართოდ ეხება დაავადების კლასიფიკაციის, კლინიკისა და სიმპტომატოლოგიის საკითხებს. განიხილავს რა დაავადების ცალკეულ სტადიებს, ექიმი კირტავა გვაწოდებს ახალ სიმპტომს, რომელიც დამახასიათებელია ავადმყოფობის მეორე სტადიისათვის.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იმსახურებს მონოგრაფიის მესამე თავი, რომელიც მკურნალობის საკითხებს ეხება. აქ თანმიმდევრულად აღნიშნულია მაობლიტერებელი ენდატერიიტის მკურნალობის როგორც ქირურგიული, ასევე კონსერვატული მეთოდები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ფიზიო-ბალნეო პროცედურების გამოყენების საკითხზე; დამაჯერებლად აგვიწერს წყალტუბოს ბალნეო-ფაქტორის მაღალ სამკურნალო თვისებებს, ხაზს უსვამს კომპლექსური მკურნალობის ეფექტურობის საკითხს და სხვა.

ამ მონოგრაფიის გამოშვებით ავტორმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წყალტუბოს მინერალური წყლების სამკურნალო თვისებათა ღრმად შესწავლის საქმეში. ექიმ ა. კირტავას ეს საპატიო ნაბიჯი მისაბაძი უნდა გახდეს კურორტში მომუშავე ყველა ექიმისათვის".

პატარების სახელით

„საქკურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის საბავშვო განყოფილებაში ყოველთვიურად ათობით ბავშვი მკურნალობს პოლიომელიტის ნარჩენ მოვლენებს.

განყოფილების მუშაკები პატარების გაჯანსაღების საქმეს დაუზარებლად ახმარენ თავიანთ ცოდნას და ენერგიას, იჩენენ გულისხმიერებასა და მზრუნ-ველობას.

აბაზანებს ბავშვები მეექვსე სააბაზანოში ღებულობენ. პატარებს აქაც ყო-ველთვის მშობლიური სიყვარულით ხვდება სააბაზანოს მთავარი ექიმი —

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. კირტავა და ფიზკაბინეტის ექიმ-მეთოდისტი რ. ჩილაჩავა.

სწორედ ამ გულისხმიერებისათვის მსურს პატარების სახელით ღრმა მადლობა გამოვთქვა ა. კირტავასა და რ. ჩილაჩავას მიმართ და ვუსურვო ჯანმრთელობა და წარმატება მათს კეთილშობილურ საქმიანობაში".

ე. კაკიტაძე
საქურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის საბავშვო განყოფილების უფროსი ექთანი.
გაზეთი „ახალი წყალტუბო" 1958 წ. 25 მაისი

ხალხის სამსახურში

საკურორტო თემას ეხება 1960 წლის 3 თებერვლის გაზეთ „ახალი წყალტუბოს" ნომერში მოთავსებული წერილი **„მთლიანად ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში წყალტუბოს საუნჯე,"** რომელსაც გთავაზობთ მცირედი შემოკლებით.

„დიდი სამუშაოები ტარდება ბალნეოლოგიური ობიექტების კეთილმოსაწყობად. ეს ღონისძიება განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა 1950 წლიდან. ერთი წლის შემდეგ ექსპლოატაციაში შევიდა №6 სააბაზანო, რომლის ყოველდღიური გამტარიანობა სამიათასზე მეტ პროცედურას შეადგენს.

შარშან კურორტს შეემატა კიდევ ერთი მძლავრი და ორიგინალური კონსტრუქციის №8 სააბაზანო, რეკონსტრუირებული იქნა №4 სააბაზანო, სადაც 28 ინდივიდუალური მარმარილოს აბაზანაა.

გარდა ამისა, დაწყებულია ახალი, მძლავრი კომფორტაბელური სააბაზანოს მშენებლობა, რომელსაც ექნება 238 ინდივიდუალური კაბინა და ექვსი აუზი.

ახალი სააბაზანოების ექსპლოატაციაში შესვლამ საშუალება მოგვცა სამის ნაცვლად გადავსულიყავით ორცვლიან მუშაობაზე. ამან საგრძნობლად აამაღლა ავადმყოფ-დამსვენებელთა მომსახურეობის კულტურა.

თუ 1959 წელს სამცვლიანი მუშაობით სააბაზანოებში ჩატარდა 1 მილიონ 792 ათასი ბალნეო-პროცედურა, წელს ბალნეოპროცედურების რიცხვი 2

მილიონ 55 ათას 200 მიაღწევს, საერთოდ კი 1960 წელს ბალნეოგანყოფილება მოემსახურება 70 400 ავადმყოფს.

აღსანიშნავია, რომ საგრძნობლად ამაღლდა ავადმყოფთა მომსახურეობის დონე. ამას მოწმობს „წინადადებათა წიგნები", რომლებშიც არა ერთი მადლობაა გამოთქმული თანამშრომლების: ნ. გიორგობიანის, თ. ტაბიძის, თ. ჯანელიძის, დ. ჩიხლაძის, თ. როინიშვილის, შ. სვანიძის, მ. ბოჭორიშვილისა და სხვათა მისამართით. კარგი მუშაობისათვის ადმინისტრაციის მიერ 47 თანამშრომელს ბრძანებით გამოცხადებული აქვს მადლობა, ხოლო სამოც კაცს მიეცა ფულადი ჯილდო.

სერიოზული ყურადღება ექცევა სამედიცინო პერსონალის საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას. მაგალითად, გასულ წელს ოთხი ექიმი გაიგზავნა თბილისში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, მოეწყო საშუალო სამედიცინო პერსონალის ადგილზე გადამზადება.

ამავე მიზანს ემსახურეობდა აგრეთვე ექთანთა თეორიული კონფერენციები და დაბალი სამედიცინო განათლების მქონე თანამშრომლებთან 125 საათიანი პროგრამის მიხედვით ჩატარებული მეცადინეობანი.

წყალტუბოს მინერალური წყლების დებეტი დღე-ღამეში 20-22 მილიონ ლიტრს აღწევს, მაგრამ აქედან გამოყენებულია მხოლოდ მისი ნახევარი. ამიტომ საჭიროა ბალნეოპროცედურების რიცხვის შემდგომი გადიდება ახალი სააბაზანოების მშენებლობის გზით, რათა კურორტის ფასდაუდებელი საუნჯე — უნიკალური სამკურნალო წყლები მთლიანად ჩავაყენოდ მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში.

ბალნეოგანყოფილების კოლექტივი ავადმყოფ-დამსვენებელთა მომსახურეობის შემდგომი გაუმჯობესებით დაუცხრომლად იშრომებს კურორტის სახელისა და ღირსებისათვის".

ა. კირტავა
კურორტსამმართველოს
ბალნეოლოგიური
განყოფილების მთავარი ექიმი.

„მადლობის მეტი რა გვეთქმის,“ — ამბობენ ავადმყოფ-დამშვენებლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი გაზეთის რედაქცია ყოველდღიურად ათობით წერილსა და კორესპოდენციას ღებულობს.

წერილების ავტორები აღტაცებული არიან კურორტ წყალტუბოში გატარებული დღეებითა და მადლობას უხდიან მედიცინის მუშაკებს დიდი ყურადღებისა და ეფექტიანი მკურნალობისათვის.

სამამულო ომის ინვალიდი ვ.უვაროვი, (სიმფეროპოლი) რომელიც ამას წინათ წყალტუბოში მკურნალობდა, რედაქციას წერს:

„სამამულო ომის ფრონტზე მიღებული ჭრილობის შედეგად ორივე ფეხზე განგრენა დამერთო. ვმკურნალობდი ომის ინვალიდთა ჰოსპიტალში, მაგრამ მდგომარეობა უფრო გართულდა და სამკურნალოდ ჩამოვედი წყალტუბოში. კურორტის ბალნეოგანყოფილების მთავარმა ექიმმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. კირტავამ დღეგამოშვებით აბაზანები დამინიშნა. 8-10 აბაზანის მიღების შემდეგ ტკივილები საგრძნობლად დამიყუჩდა.

გულითად მადლობას ვუძღვნი ექიმ ა. კირტავას ჩემდამი დიდი გულისხმიერებისათვის“.

— ვმკურნალობდი სანატორიუმ „დრუჟბაში“ ექიმ დარისპან თურმანიძისა და ექთან ფ. კეთილაძის მეთვალყურეობით, — წერს ვორონეჟელი ვ. ეფიმოვი, — რომლებმაც ცოდნა და ენერგია არ დაიშურეს ჩემი ჯანმრთელობის მალე აღდგენისათვის. მინდა მათ გადავუხადო მადლობა და ვუსურვო ახალი წარმატებანი მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საპატიო მოვალეობის შესრულებაში“.

გაზეთი „ახალი წყალტუბო“
1960 წ. 15 აპრილი

გაზეთ **„სტალინელის“** 1960 წლის 26 აგვისტოს ნომრის წერილში **„წყალტუბო“** ვკითხულობთ:

„კურორტ წყალტუბოს ბალნეოლოგიური განყოფილება ერთ-ერთი მთავარი დაწესებულებაა, სადაც 360-ზე მეტი მომსახურე პერსონალია ჩაყენებული მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში. ამ განყოფილებას სათავეში უდგას მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა.კირტავა, რომელიც სამი ათეული

წელზე მეტია უმწიკვლოდ და კეთილსინდისიერად ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

გარდა აბაზანებით მკურნალობისა ბალნეოლოგიური განყოფილებას აქვს კომპლექსური მკურნალობისათვის კაბინეტები: წყალქვეშა ვარჯიშის, 4-კამერიანი და სუბაკვალური აბაზანების, სამკურნალო შხაპის, წყალქვეშა მასაჟის, ირიგაციის, ინჰალაციის, მექანოთერაპიის, დარბაზში ვარჯიშის, მასაჟის და ფიზიოთერაპიის, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკის აპარატურით. ამ საქმეს მომსახურებას უწევენ დახელოვნებული ექთნები: ლამარა ფანცხავა, ეთერ გორდაძე, ცაცა უგულავა, მარგო ფანცხავა, შუშანა სვანიძე, ქეთევან მინაშვილი, შოთა ბერიძე და სხვები.

განსაკუთრებით ეფექტურია წყალქვეშა ვარჯიში ძვალსახსართა და პერიფერიულ-ნერვული სისტემის დავადებების მკურნალობის საქმეში. ამ საკითხზე დაიცვა დისერტაცია ექიმმა შუშანა ნუცუბიძემ. წყალქვეშა ვარჯიშის საქმეს ცოდნით განაგებს სამკურნალო ფიზკულტურის დარგში დახელოვნებული ექიმი რევაზ ჩილაჩავა.

ავადმყოფთა ქებას იმსახურებენ №1 სააბაზანოს ექთნები ვერა ჟორდანია და იულია ქორქაშვილი. №8 სააბაზანოს უფროსი ექთანი ლიდა ჯალაღანია. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგანან სანიტრები: ტატიანა მესხი, დომნა იოსელიანი, ეკატერინე ერიომინა და მრავალი სხვა".

1969 წლის სექტემბერში თბილისში ჩატარდა ევროპის ქვეყნების კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტების საკოორდინაციო თათბირი. თბილისში მუშაობის დამთავრების შემდეგ კურორტოლოგებმა თავიანთი მორიგი სხდომა წყალტუბოში გამართეს.

გაზეთი „დროშა" 30 სექტემბრის ნომერში აღნიშნავდა, რომ „თათბირის მონაწილეებმა დაათვალიერეს სანატორიუმი „შახტიორი," მინერალური წყაროების პარკი და მეექვსე სააბაზანო. საზღვარგარეთელი სტუმრები მოხიბლული დარჩნენ მეექვსე სააბაზანოთი. სტუმრებს სააბაზანოს მშენებლობისა და წყალტუბოს რადიაქტიული წყლების შესახებ ახსნა-განმარტებას აძლევდათ კურორტის პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. კირტავა."

სარჩევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე თვითონ 3
სტალინი წყალტუბოში 8
მთავრობის წევრების ვიზიტები 18
კონსტანტინე გამსახურდია 23
უცხოელთა მკურნალობა 26
ლიტერატურული პერსონაჟის როლში 30
ცოტა რამ ბალნეოლოგიის ისტორიიდან 45
თანამშრომლები და ავადმყოფ-დამსვენებლები 47

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექნიკური რედაქტორი ტრისტან ჯანცოთელი
კორექტორი იზოლდა ქუთათელაძე
გამომშვები შორენა მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 24.04.98 წ.
სელმოწერილია დასაბეჭდად 27.06.99 წ.
საბეჭდი ქაღალდი 84X108 1/32
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,64.

ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „საქართველო"
ქუთაისის ფილიალი,
ქუთაისი, გრიშაშვილის 6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ماع مجلس الأمن مساء

عصيبا عندما يستأنف بحث عدوان إس
نيام في التوصل إلى قرار يتفق مع رأي وفود أفري

اول صورة للرئيس عبد الناصر من تسخالطوبو

გამალ აბდელ ნასერი და ამბროსი კირტავა
(არაბულ გაზეთში მოთავსებული ფოტოსურათი)